

ბუჩამ ხატოშვილი

ძიუდოს
განუითარების
ისტორია

მეოხე გამოცემა

თბილისი
2010

რეცენზენტი:

ჟ. პაბანია

**პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი**

რედაქტორი:

შ. ხაბარელი

**სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ოლიმპიური ჩემპიონი**

**წიგნის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის
მადლობას ვუხდით სპორტის აკადემიის
კურსდამთავრებულს ღაშით ღარბაიძეს**

პროფესორ ა. ციბაძის გამოსმაურება
ამ წიგნის პირველ გამოცემაზე:
„ახი უნდა იბრუნებოდნენ სპორტის ხანობის ისტორია!“

ჩემს ხელთაა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭიდაობისა და ძალოსნობის კათედრის პროფესორის, გურამ რატიშვილის წიგნი „ძიულოს განვითარების ისტორია“, რომელმაც დიდი სიამოვნება მომანიჭა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი ამ წიგნით ამოივსო კიდევ ერთი ხარვეზი ქართული სპორტის ისტორიაში, სტუდენტებმა და სპეციალისტთა ფართო წრემ მიიღო შესანიშნავი დამხმარე სახელმძღვანელო, და მეორეც – წიგნი დაწერილია იმდენად მაღალ დონეზე, რომ დიდი სურვილი დამებადა მისი რეცენზირებისა, ვინაშე სპორტის სახეობათა მესვეურებმაც შექმნან ანალოგიური დამხმარე სახელმძღვანელოები.

წიგნი წარმოადგენს არა მარტო ფაქტების მშრალ კონსტატაციასა და ანალიზს, არამედ ჩვენთვის სპორტის ამ ახალი სახეობის განვითარებას იხილავს აღმოსავლურ ფილოსოფიურ მოძღვრებებთან მჭიდრო კავშირში. სწორედ ასეთ კონტექსტშია განხილული „ძიულოს საწყისები“, „ძიულოს წარმოქმნა და მისი პირველადი განვითარება“, „ძიულო კოდოგანის ესთეტიკური და ეთიკური საფუძვლები“, „ძიულოს განვითარება საქართველოში“, „შეჯიბრების ევოლუცია ძიულოში“.

წიგნს ერთვის ვრცელი დანართი, რომელიც გვაუწყებს სსრკ ჩემპიონატების პრიზიორების, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატების ქართველ მონაწილეთა მონაგარს.

მისასალმებელია ასეთი კარგი წიგნის გამოსვლა და მოველით მსგავს დამხმარე სახელმძღვანელოებს სპორტის სხვა სახეობებშიც.

პროფესორი ავთანდილ ციბაძე

ძიუდოს სანყისები

ძიუდოს სამშობლო იაპონიაა. უძველესი დროიდან აქ ჭიდაობის ორი მიმართულება ძალისმიერი ჭიდაობა – სუმო და თავდაცვის საბრძოლო სახეობანი არსებობდა.

უნგრელი სპეციალისტი ფერენც გალა ამტკიცებს იაპონიაში ჭიდაობა ძველებური ტანვარჯიშიდან „ხიკარა-კურაზე“ წამოვიდა, რომლის შესახებ პირველი ცნობები ჩე.წ.ად-მდე 720 წელს კოიიკაში ძველ საქმეთა ჩანაწერებსა და ნახონ-სიკეში იაპონურ ქრონიკაში გვხვდება..

ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამდე მრავალი საუკუნის განმავლობაში იაპონელი მეომრები ბრძოლისას მახვილს, ხანჯალსა და შუბს იყენებდნენ. ცივი იარაღის ტარების და მისი ფლობის ნება მხოლოდ ფეოდალებსა და მეომარ სამურაებს ჰქონდათ, რომლებიც იარაღთან მოპყრობას სპეციალურ სკოლებში სწავლობდნენ: აქვე ასწავლიდნენ შეიარაღებული მებრძოლის წინააღმდეგ უიარაღოდ დაცვისა და თავდაცვის წესებს. ეს ხელოვნება სამურაების დამატებით იარაღს წარმოადგენდა. ამიტომ ისინი თავიანთი კოლეგებისაგან საგულდაგულოდ იცავდნენ ილეთების საიდუმლოებას, რომლებიც სხვადასხვა სკოლებში ჯიუ-ჯიტსუში, ტაი-ჯიტსუში, ვაი-ჯირსუში, ტორიტეში, იავარაში, კოგუსუკუში, კემპოში და

ძიულოს განვითარების ისტორია

ხაკუდაში ვარჯიშობდნენ. თავდაცვის ყველა ჩამოთვლილი სკოლა უიარაღო ან იარაღით თავდასხმისა და თავდაცვის სხვადასხვა ვარიანტს წარმოადგენდა და ერთმანეთისგან არა მარტო ტექნიკური ილეთებით, არამედ შერკინების საბოლოო მიზნითაც განსხვავდებოდა. მეტოქის მოკვლა ტაი-ჯიტსუ, თავდამსხმელის გაუვნებელყოფა, ან ბრძოლის უნარის წართმევა ჯიუ-ჯიტსუ. ყველაზე მეტი პოპულარობით ჯიუ-ჯიტსუს სკოლები სარგებლობდნენ. ჯიუ-ჯიტსუს წარმოშობის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს. ზოგიერთი წყაროს თანახმად, იგი წარმოიქმნა ძველი ინდოელი მასაჟისტების საექიმო ხელოვნების საფუძველზე, რომლებიც ადამიანის სხეულზე სპეციალურად ყველაზე მგრძობიარე წერტილებს სწავლობდნენ რათა მათზე ზემოქმედებით პაციენტისთვის დაეამებინათ ან უფრო გაეძლიერებინათ ტკივილი.

ინდოეთიდან ამ ხელოვნებამ ჩინეთში გადაინაცვლა, სადაც მან გასამხედროებული ელფერი მიიღო და შემდგომ განვითარდა საბრძოლო თამაშების „ხადუკას“ სახით. თავის მხრივ, ეს სახეობა დახვეწა იაპონელმა ექიმმა აკიამამ. მან შეიმუშავა და გამოაქვეყნა ხელჩართული ბრძოლის 300 ილეთი, რომლითაც შესაძლებელია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება.

ფ. გალას მიერ აღწერილი „კოკუოისის ქრონიკის“ ლეგენდის თანახმად, იაპონიაში ჯიუ-ჯიტსუს XVI საუკუნის შუა ხანებში საფუძველი ჩინელმა ბერმა ცენ-იუან-

პინგმა ჩაუყარა. ერთხელ მას ბანდიტები დაესხნენ თავს. ყანალები იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ ბერის თანმხლებმა სამურაებმა შიშისაგან იარაღი დაყარეს. მაგრამ ბერი არ შეშინდა და მომხედურთაგან რამდენიმე წამში მიწას დაანარცხა, დანარჩენები კი აიძულა გაქცეულიყვნენ. ამ შემთხვევის შემდეგ სამურაებმა ხვეწნა დაუწყეს ბერს, რომ მათთვისაც ესწავლებინა ამ ხელოვნების საიდუმლო. ბოლოს მან მოსწავლეებად ახალგაზრდა სამურაები აიყვანა და თითოეული მათგანის წვრთნას სხვადასხვა სისტემით შეუდგა, სულ მალე მოსწავლეებმაც შეისწავლეს საიდუმლო ხელოვნება და თავად გახდნენ სხვადასხვა სკოლის დამფუძნებლები. ეს ლეგენდა ამტკიცებს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ჯიუ-ჯიტსუს საწყისები ჩინურ საბრძოლო ხელოვნებაშია.

1932 წელს ტაკაპოუნიში დაარსდა ჯიუ-ჯიტსუს სკოლა.

დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ ჯიუ-ჯიტსუმ უმაღლეს განვითარებას XVII-XIX საუკუნეებში მიაღწია. ჯიუ-ჯიტსუს სისტემაში ძირითადი ადგილი მოწინააღმდეგის სხეულის სხვადასხვა წერტილებში ბამბუკის კეტით, აგრეთვე ხელით დარტყმებსა და ფარიკაობას უკავია. ამასთან, მნიშვნელოვანი ადგილი სირბილს, ხტომებსა და ჭიდაობას ენიჭებოდა.

გარდა ფიზიკური მომზადებისა, სამურაები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ფსიქოლოგიურ მომზადებასაც. ძენ ბუდიზმის ბაზაზე მათ შეიმუშავეს სამურაების ღირსებ-

ძიულოს განვითარების ისტორია
ის კოდექსი – „ბუსიდო“, რომლებმაც მათ ბატონისადმი ერთგულების, სიამაყის, ვაჟკაცობისა და სიკედლის არად ჩაგდების თვისებები განუვითარა.

ძიულოს ნახმოქმნა და მისი ჰიხვედდი განვითარება

იაპონიაში მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ფეოდალური დამოკიდებულებანი XIX საუკუნის შუა წლებისათვის თანდათან დაკნინებას მიეცა. იმპერატორის სპეციალური დადგენილებით, 1871 წელს სამურაებს აეკრძალათ ხმლის ტარების უფლება, რამაც საკმაოდ მოკლე ხანში მეომრებისა და პოლიციელების საბრძოლო და ფიზიკური მომზადების სისტემაზე იმოქმედა. ჯიუ-ჯიტსუს სხვადასხვა სკოლებში სწავლების აქცენტად უიარალო თავდაცვის ხერხების დაუფლება იქცა. ბურჟუაზიული რეფორმების შედეგად გამოცხადდა სამურაების, გლეხების, ხელოსნებისა და ვაჭრების თავისუფლება და სამურაების მიერ დაარსებული სკოლებიც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად არა მარტო სამურაების, არამედ უბრალო იაპონელების ცხოვრების პირობებიც შეიცვალა რაც ობიექტური წინაპირობა აღმოჩნდა ახალი, უფრო დემოკრატიული ფიზიკური აღზრდის სისტემის შექმნისათვის.

ამგვარი სისტემის შექმნა ხალგაზრდა იაპონელმა პედაგოგმა, ლიცეუმის ინსპექტორმა ძიგარო კანომ სცადა. პირველ რიგში მან მიზნად დაისახა ის, რომ მისი სისტემა ხელმისაწვდომი ყოფილიყო არა მარტო სამურაებისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის. მეორე ეტაპზე კანომ იაპონური ეროვნული ჭიდაობა “სუმოს” მდიდარი გამოცდილების გამოყენება გადაწყვიტა, რომელიც საკმაოდ პოპულარული გახლდათ ხალხში. ოდითგან იაპონიაში ძალის უემარისობა აღიქმებოდა, როგორც ანომალია, ფიზიკური სისუსტე კი ხანგრძლივ ავადმყოფობად ითვლებოდა. სუმო ძალისა და სიმარჯვის განვითარების ხელმისაწვდომი და ეფექტური საშუალება იყო. ისტორიული მატჩანები ამტკიცებენ, რომ სუმო წარმოიშვა 1500 წლის წინ. პირველად მოჭიდავეთა შეხვედრები რიტუალური ხასიათისა იყო და ტარდებოდა სინტოისტურ ტაძრებში, რიტუალურ ცეკვებთან და წარმოდგენებთან ერთად. XVII საუკუნის დამდეგს სუმო საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ჭიდაობის ეროვნული სახეობა. მისი პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ იაპონიის სხვადასხვა ქალაქებში მოჭიდავეთა პროფესიული დასები შეჯიბრებებსაც ატარებდნენ.

სუმო ამჟამადაც იაპონელების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სანახაობაა. პროფესიონალთა ტურნირებზე მძიმე წონის მოჭიდავეები ასპარეზობენ. სუმოში გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც შეძლებს მეტოქე შემოსაზღვრული ზონის გარეთ გაიყვანოს ან აიძულოს იგი

შეეხოს მიწას სხეულის რომელიმე ნაწილით, ანდა ასწიოს იგი წელს ზევით.

სუმოს ტექნიკური არსენალი 48 ძირითად ილეთს ითვლის. სუმოს შერკინება მეტად სწრაფად მთავრდება და საინტერესო სანახაობას წარმოადგენს, ამიტომ პროფესიონალთა ტურნირებში მაყურებლები ისინი ერთმანეთს გამარჯვებულის გამოცნობაში „ეჯიბრებიან“.

გარდა სუმოს ელემენტებისა, ახალ სისტემას საფუძვლად დაედო ჯიუ-ჯიტსუს უსაფრთხო და ეფექტური ილეთები. ამგვარი სელექციის გატარებისთვის ახალგაზრდა ძიგარო კანოს თავად მოუხდა სხვადასხვა სკოლებში სწავლების მკაცრი სისტემის გავლა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ჯიუ-ჯიტსუს სისტემას 20-მდე სხვადასხვა სკოლა „რიუ“ გააჩნდა. ძიგარო კანოს აზრით, ყველაზე ეფექტურ სკოლებს „კატო-რიუ“ და „ტუნსინ-სინიო-რიუ“ წარმოადგენდა, რომელთა ტექნიკური არსენალიც საფუძვლად ახალ სისტემას დაედო. ძიგარო კანო მოგვიანებით თავის წიგნში წერდა: „ჯიუ-ჯიტსუს“ ახალი სიტემის შესწავლისას დაერწმუნდი, რომ ეს არის სხეულისა და გონების განვითარების ყველაზე ეფექტური საშუალება, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ეს მეთოდი ყველაზე ფართო წრეებში გავავრცელო“ 1882 წელს ძიგარო კანომ ტოკიოში დააარსა საკუთარი სკოლა, სადაც მან აღზრდის ახალი სისტემის სწავლება და პროპაგანდა დაიწყო, რომელსაც „ძიულო“ უწოდა.

ამავე დროს ტოკიოსა და იაპონიის სხვა ქალაქებში

აღზრდის ახალი სისტემების შექმნის აქტიური ცდები მიმდინარეობდა, რასაც საფუძვლად ჯიუ-ჯიტსუს სხვა სკოლების მეთოდური და იდეოლოგიური მიმართულებანი დაედო, ამიტომ ძიგარო კანო ძიუდოს ტექნიკური არსენალის შერჩევასა და საზოგადოების ფართო წრისათვის მისი მისაწვდომობისა და უსაფრთხოების ბიომექანიკური დასაბუთების ძიებას განაგრძობდა. ზოგადად, ძიუდოს არსენალის სელექცია 1886 წელს დასრულდა. დადგა ჟამი მის მიერ შექმნილი სისტემის სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცებისა. ღია პაექრობაში უნდა გადაწყვეტილიყო, თუ რომელი სკოლა იყო საუკეთესო. ამ დროისათვის ძიგარო კანოს სკოლას „კოდაკანი“ ეწოდა, რაც „სიმართლის მდადადებელს“ ნიშნავს. განსაკუთრებით მწვავე კონკურენცია ხიკმსუკე ტოტსაკასა და კოდოკანის სკოლებს შორის გაიმართა. 1886 წელს ისინი ოფიციალურად შეხედნენ ერთმანეთს. სკოლებმა თავისი საუკეთესო 15-15 მოჭიდავე წარადგინეს. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, 15 შეხვედრიდან ფრედ მხოლოდ ორი პაექრობა დასრულდა, დანარჩენში კი დიდი უპირატესობით კოდოკანის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. ამ წარმატებამ საბოლოოდ დაამტკიცა ძიგარო კანოს მიერ შექმნილი ფიზიკური აღზრდის ახალი სისტემის უპირატესობა.

ძიუდოს პროპაგანდის მიზნით ძიგარო კანომ 1889 წელს გადაწყვიტა ჩაეტარებინა ტურნე ევროპაში. ამ დროისათვის ძიუდო უკვე მთელს იაპონიაში გავრცელ-

და, თუმცა ცალკეულ სკოლებში მაინც განაგრძობდნენ მეტოქეობას და ხელს უშლიდნენ მის გაერცელებას.

ძიუდოს მეთოდური და ფილოსოფიური საფუძვლების შემუშავებისადმი მეცნიერულმა მიდგომამ და პროფ. ძიგარო კანოს და მისი მოსწავლეების დაუდალავმა პროპაგანდისტურმა საქმიანობამ თავისი გაიტანა. 1922 წლისთვის ძიუდო სპორტის ეროვნული სახეობა, 1931 წლიდან კი იაპონიის ყველა საშუალო სკოლაში აუცილებელ საგნად იქცა

1903-დან 1922 წლამდე არსებული პერიოდი შეიძლება დაეახასიათოდ არა მარტო ძიუდოს ჩამოყალიბების, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში ძიუდოს ექსპორტის ხანად. კოდაკანი თავის საუკეთესო მოსწავლეებს ძველი და ახალი სამყაროს ყოველ კუთხეში გზავნიდა, კერძოდ: ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში. ძიუდომ მთელს მსოფლიოში დაიწყო გაერცელება. ძიუდოს პოპულარიზაციას ხელს უწყობდა არა მარტო მისი სპორტული მხარე, არამედ მეტწილად ფიზიკური და სულიერი აღზრდის წარმოდგენილი სისტემის პროგრესულობა.

ძიგარო კანო შემთხვევით არ უწოდებდა თავის სისტემას „ჯიუ-ჯიტსუს“ (რბილი ხელოვნება) ნაცვლად „ჯიუდო“ (რბილი, მოქნილი გზა). ამით მან, პირველ რიგში ხაზი გაუსვა ფიზიკური და სულიერი საწყისების უწყვეტ ერთიანობას, მეორე მხრივ კი, არსებული პრობლე-

მის გადაწყვეტისადმი სხვადასხვანაირი მიდგომის შესაძლებლობას. ძიგარო კანოს დამსახურებაა ისიც, რომ მან შეინარჩუნა რა ძიუდოს, როგორც აღმზრდელობითი სისტემის მთლიანობა, მასში გამოჰყო შემდეგი სამი შემადგენელი და ურთიერთდაკავშირებული ნაწილი: ტექნიკური ხელოვნება, სპორტი და თავდაცვის ხელოვნება.

1932 წელს ძიგარო კანო იაპონიის ფიზიკური კულტურის მინისტრად დაინიშნა. ამ დროისათვის იგი იწყებს აქტიურ მუშაობას ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ძიუდოს ჩართვისათვის, მაგრამ იგი სიცოცხლეში ვერ მოესწრო ამ ოცნების განხორციელებას. პროფ. ძიგარო კანო 78 წლის ასაკში, 1938 წელს გარდაიცვალა.

1938 წელს იაპონიის ხელისუფლების სათავეში პროფაშისტური მთავრობა მოვიდა, ქვეყანამ კურსი ომის სამზადისზე აიღო და ძიუდოს სისტემის პროგრესული საწყისები დავიწყებას მიეცა. სახეობამ უაღრესად გასამხედროებელი ელფერი შეიძინა და ხელს უწყობდა სისასტიკისა და სამურაელთა საბრძოლო მზადების განვითარებას. ამგვარი მიდგომარეობა ბატონობდა იაპონურ ძიუდოში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

ეს პერიოდი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ყოფილ საბჭოთა კავშირში ძიუდოსადმი ნეგატიური დამოკიდებულებით ხასიათდებოდა 1945 წლიდან იაპონიაში იცვლება სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. კაპიტულირებული სახელმწიფო, შეერთებული შტატების კონტროლის ქვეშ მოექცა. ამერიკელებმა

ძიუდოს განვითარების ისტორია

იცოდნენ ომამდელი ძიუდოს გასამხედროებული ხასიათის შესახებ და სწორედ ამიტომ აკრძალეს მისი სწავლება იაპონიის სკოლებში. აკრძალვა მოიხსნა 1948 წელს, როდესაც სახელმწიფომ უარი თქვა რევანშზე. ამ დროს ძიგარო კანოს ვაჟი რისეი კანო სათავეში ჩაუდგა იაპონურ ძიუდოს და აქტიურად შეუდგა მამის პედაგოგიური სისტემისა და ძიუდოს პროგრესული საწყისების აღდგენას.

ძიუდო კოდოკანის ესთეტიკური და ეთიკური საფუძვლები

ძიუდო კოდოკანის არსის გაგებისათვის საჭიროა მოკლედ მაინც გავეცნოთ იაპონელთა ცხოვრების თავისებურებასა და მათ ეროვნულ კულტურას.

იაპონიას ამომავალი მზის ქვეყანასა და კუნძულების იმპერიას უწოდებენ. მიუხედავად თავისი გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებისა, იაპონიამ ბევრი რამ ინდოეთისა და ჩინეთის კულტურისგან შეითვისა. იაპონურ სულში სამმა რელიგიამ დატოვა კვალი: ბუდიზმმა (ინდოეთი), კონფუციონობამ (ჩინეთი) და სინტომ (იაპონია).

იაპონიაში მრავალი ლამაზი ტაძარია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იაპონელები, ისევე როგორც მათი მეზობელი ჩინელები, ნაკლებრელიგიური ხალხია. მაგრამ, თუ ჩინელებს რელიგიის მაგიერობას ეთიკა უწევს,

იაპონელების რელიგიის შემცვლელი ესთეტიკაა, რაც მათ მშვენიერებისადმი თაყვანისცემაში ეხმარება.

უბველესი ხანიდან იაპონიაში დიდ ყურადღებას უთმობენ ესთეტიკურ აღზრდას. იაპონიაში ჩასული მრავალი უცხოელის აზრით, ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ლამაზი საყოფაცხოვრებო ტრადიციები და დახვეწილი ზრდილობა გახლავთ. იაპონელები აღმერთებენ საკუთარი ბინებისა და სხეულის სისუფთავეს. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული სახლში შესვლისას ფეხსაცმლის გახდისა და დღეში 2-3-ჯერ დაბანის წესი. იაპონურ ბინაში იატაკის მაგიერობას დაპრესილი ბრინჯის ნამჯისა და ლერწმისაგან დამზადებული საცვლელი ლეიბი-ტატამი ეწევა. იაპონიაში ტატამზე ჯდომის ტრადიციული წესი არსებობს, რაც საკუთარ ქუსლებზე ჩაჯდომაში გამოიხატება. უზრდელობად ითვლება ფეხების ჯვარედინად, წინ გაწეით და გაშვერით ჯდომა. ქუსლებზე დამჯდარნი სადილობენ, ჩაის სვამენ, საუბრობენ და მუშაობენ კიდევ. ამ პოზაში იაპონელები თავს უხრიან ერთმანეთს, რაც ზრდილობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. იაპონელების მიდრეკილება სილამაზისაკენ განსაზღვრავს მათი ცხოვრების ყოველ სფეროს და მათ შორის ძიუდოსაც. ეს ეხება დარბაზის უზადო სისუფთავეს, სპორტსმენის გარეგნულ იერს, ტატამზე მისი მოძრაობების სილამაზეს.

ძიუდოისტთა სპორტულ ტანსაცმელს „ძიუდოგი“ ეწოდება. იგი შედგება ჩოხის „კიმანოს“, შარვლისა „სი-

ტაბაკი“ და ქამრისაგან „ობი“. ძიუდოგი ყოველთვის ქათქათა ან ღია ყვითელი ფერისაა (1986 წლიდან ძიუდოს ევროპული კავშირის გადაწყვეტილებით ოფიციალურ შეჯიბრებებზე ერთ-ერთი მოჭიდავე ღია ცისფერი ძიუდოგით გამოდის). ყოველ იაპონელ მოჭიდავეს ვარჯიშის შემდეგ გამოსაცვლელად და სასწრაფოდ გასარეცხად აქვს ძიუდოგის რამდენიმე კომპლექტი.

სილამაზის კრიტერიუმი ძიუდოისტის როგორც გარეგნობაში ისე მის მოქმედებაში ჰპოვებს გამოხატულებას. სპორტულ ორთაბრძოლებში ეს კრიტერიუმი ჩადებულა გამარჯვებულის განსაზღვრის არსში, ე.ი. გამარჯვება მიენიჭება არა იმას, ვინც ბევრი ილეთი ჩაატარა, არამედ იმას ვინც მეტი, რთული და ლამაზი ფანდების დემონსტრირება შეძლო. ამასთან დაკავშირებით მიღებულია ტექნიკურ მოქმედებათა შესრულების ხარისხის შეფასება, სადაც განისაზღვრება მოძრაობის ამპლიტუდა, სისწრაფე და სიზუსტე. თუ ჩატარებული ილეთი ხასიათდება ზემოთ დასახელებული სამივე მაჩვენებლით, მაშინ იგი ფასდება როგორც „იპონი“ ანუ სუფთა გამარჯვება. თუ ილეთი შეფასდა ორი მაჩვენებლით, იგი ფასდება როგორც „ვაზაარი“, ხოლო ერთი მაჩვენებლით შეფასების შემთხვევაში, როგორც „იუკო“. (ადრინდელი დასახელებით „ვაზაარი ნიჩიკაი ვაზა“). ამგვარი შეფასება დიდი ხნის განმავლობაში დაბალ შეფასებად ითვლებოდა ძიუდოში, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ევროპელთა შუამდგომლობით შემოღებულ იქნა უფრო

დაბალი ქულა „კოკა“ – არასრულყოფილი და ნაკლებხარისხიანი მოქმედებისთვის. ძიუდოში სამსაჯო სისტემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ხარისხობრივად უფრო მაღალ შეფასებას ვერ გადაფარავს დაბალი შეფასების ილეთების კორიანტელიც კი, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მოძრაობათა ხარისხისა და სილამაზის უპირატესობას რაოდენობასთან.

იმისათვის, რომ ძიუდომ არ დაკარგოს მაყურებელი და ორთაბრძოლები მთავრდებოდეს უფრო სწრაფად, ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ გაამარტივა „იპონის“ შეფასება. თუ ილეთი ტარდება შეუჩერებლად (დინამიკაში) – გადაგორება ბეჭებზე ფასდება როგორც „იპონი“, აგრეთვე გამარტივდა შემდეგი შეფასებები (ვაზაარი, იუკო, კოკა).

2008 წლის ბოლოს კი ევროპის ძიუდოს კავშირმა, ექსპერიმენტის სახით, ისევ იმ მიზნით, რომ ძიუდო გახდეს უფრო მეტად სანახაობრივი, ტექნიკის შეფასების შკალიდან ამოიღო ყველაზე დაბალი ტექნიკის შეფასება – კოკა. ამით ძიუდოისტებს აიძულებენ ისწრაფვოდნენ შეავსონ თავიანთი ტექნიკური არსენალი „მაღალფასიანი ილეთებით“.

ძიუდოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ტექნიკური ხელოვნება – „კატა“. მისი დემონსტრირებისას ორივე პარტნიორი თავის როლს ასრულებს, შემტევ მოჭიდავეს „ტორი“, ხოლო თავდამცველს „უკე“ ეწოდება. „კატას“ ფორმების უმეტესობა დაკავშირებულია ილეთების შეს-

ძიულოს განვითარების ისტორია

რულების ცოდნასთან, რომელიც სრულდება სრული წინააღმდეგობების გარეშე, თუმცა „უკეს“ დაუხმარებლად.

ვარჯიშებზე „კატას“ ნაირფეროვანი თანმიმდევრული გამოყენება სხვადასხვა პარტნიორებთან სპორტსმენს საშუალებას აძლევს ფიზიკური და ესთეტიკური წრთობის გარდა გამოიმუშაოს საიმედო მოძრაობითი უნარ-ჩვევები სპორტული და საბრძოლო პაექრობისთვის. გარდა ამისა „კატას“ ნებისმიერი ფორმის მიხედვით შეიძლება ჩატარდეს შეჯიბრება, სადაც ისევ და ისევ გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად მიიღება დემონსტრირებული მოძრაობების სილამაზე და სინქრონულობა.

მაგრამ, ძიულოს არსის შესაცნობად საკმარისი არ არის მხოლოდ მისი ესთეტიკური საფუძვლების შესწავლა. მეტად მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მისი მორალურ-ესთეტიკური მიმართულების სწორი გაგება.

უძველესი დროიდან იაპონური ეროვნული ხასიათის ძირითადი თავისებურება გახლდათ იაპონელთა ორჭოფული შეხედულება ცხოვრებაზე ამ ორჭოფულობის საწყისები ღრმაა და თავისი ფესვებით სულის შესახებ კონფუციურ წარმოდგენას უკავშირდება ამ წარმოდგენის თანახმად სული ორმაგია – რბილი და ხისტი. იაპონელები ამბობენ: „ერთსა და იმავე ხელს შეუძლია ბავშვის მოფერება და მტრის დათრგუნვა“. სხვანაირად, რომ ვთქვათ, არ შეიძლება ადამიანში დავაფასოთ მხოლოდ სულიერი სილამაზე და სინატიფე და მასში დავგ-

მთ უხეშობა და სიმკაცრე და პირიქით. აქედან გასაგებია იაპონელთა სურვილი ერთდროულად აღზარდონ ადამიანში როგორც სილამაზისადმი სიყვარული, ასევე ჩვევა სიმკაცრისადმი. როგორც ჩანს, ამით ხელმძღვანელობდა ძიგარო კანო ძიუდო „კოდოკანის“ ფილოსოფიური და მეთოდური საფუძვლების შემუშავებისას. კანოს პედაგოგიური სისტემა ეფუძნება სამი კულტურის განუყოფელ ერთიანობას: ფიზიკურს, მორალურსა და ინტელექტუალურს. ამასთან, ფუძემდებელ როლს იგი ფიზიკურ კულტურას აკუთვნებს.

„ჯანმრთელი სხეული,“ ამბობდა კანო, „არა მარტო არსებობის პირობაა, არამედ გონებრივი მოღვაწეობის საფუძველიცაა“ ჯანმრთელობის შესახებ საუბრისას კანო ყოველთვის აღნიშავდა, რომ რაც არ უნდა ჯანმრთელი იყოს ადამიანი, იგი არაფერია, თუ პიროვნება უსარგებლოა საზოგადოებისათვის და ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე. აქედან გამომდინარე, მან წამოაყენა თავისი პედაგოგიური სისტემის პირველი პრინციპი: „საზოგადოების პროგრესისა და აყვავების“ ხელის შეწყობის აუცილებლობა”

„სხეულის განვითარებას და ჯანმრთელობის გაკავებასთან ერთად მე ვაშენებ საკუთარი პიროვნების განვითარების საძირკველს: როდესაც განვითარებ და ყოველ მხრივ სრულყოფ ჩემს პიროვნებას, მე ვაგებ საძირკველს მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის“. ეს პრინციპი გამოიხატება შემდეგი ფორმულით: „საკუთარი

სრულყოფით ვემსახურეთ საზოგადოებას“, რაც ნიშნავს: „ვიცხოვროთ ერთიანი ცხოვრებით საზოგადოებასთან, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთდათმობის საფუძველზე.“ ძიუდოსთან მიმართებით ეს თეზისი იქცა ცნებად დაიყოლიე, რომ გაიმარჯვო. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული „კოდოკანოს“ მეორე პრინციპთან „მაქსიმალური ეფექტურობა“. ამის შესახებ ძიგარო კანო ამბობდა: „რაგინდ კეთილშობილური და სასარგებლო არ უნდა იყოს ცხოვრების მიზანი, თუ მისადწვევი გზები და საშუალებანი უღირსია, შედეგი არ შეიძლება დადებითად ჩაითვალოს“.

აქედან გამომდინარე, მან წამოაყენა მოთხოვნა – მაქსიმალური შედეგის მიღწევა ენერგიის მინიმალური დახარჯვით. ძიუდოში ეს შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი მიზნისათვის მეტოქის ძალის გამოყენებით.

მაგალითად, თუ უკე აწევება წინ, ტორი ცდილობს იგი გადაადგოს უკან ამ შემთხვევაშიც კი ტორის ეს მოქმედება არ შეიძლება ეფექტურად ჩაითვალოს პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი არამიზანშეწონილია და, მაშასადამე, ულამაზოც, ვინაიდან არ შეესაბამება ცნებას „სიბუი.“ აქ მჭიდროდაა გადახლართული ძიუდოს ეთიკისა და ესთეტიკის მოთხოვნები. კანოს თქმით, სწორედ ამაშია ძიუდოს ჭეშმარიტი შინაარსი, კერძოდ „მოქნილი გზა სულისა და სხეულის ენერგიის ეფექტური გამოყენებისაკენ“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძიუდოისტთა სავარ-

ჯიშო დარბაზს „დოჯო“ ეწოდება, რაც „ფიქრთა სახლს“ ნიშნავს. ამით ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ამ სახლში შესრულებული ყოველი მოქმედება გააზრებულია და საბოლოოდ მიმართულია სპორტსმენის პიროვნებისა და მთლიანად საზოგადოების სრულყოფისაკენ, ამიტომ ძიუდოში ოდითგანვე კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: დარბაზში შესვლისას და გამოსვლისას მოჭიდავე თავს ხრის, რითაც პატივს მიაგებს სავარჯიშო ადგილსა და იმ საქმეს, რომელსაც იგი ემსახურება.

ძიგარო კანომ შეიმუშავა ძიუდო „კოდაკანის“ 5 მორალური კანონი, რომელსაც მისი ყოველი მოსწავლე საუნიშო ფიცით წარმოსთქვამდა სკოლაში შესვლისას.

1. რადგან გადავწყვიტე თავი მიეუძღვნა ძიუდოს, არ შევწყვეტ ვარჯიშს, თუ ამისათვის არ მექნა სერიოზული მიზეზები;

2. გპირდებით, ჩემი საქციელით არ შევარცხვინო „დოჯო“

3. არასოდეს არ გავანდობ სკოლის საიდუმლოებას უცხო პირს, ამასთან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ავიღებ გაკვეთილებს სხვაგან;

4. გაძლევთ სიტყვას, არ ჩავატარებ გაკვეთილებს ჩემი მასწავლებლის ნებართვის გარეშე.

5. ფეიცავ, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე პატივი ვცე „კოდოკანის“ წესებს, ამჟამად როგორც მოსწავლემ, შემდგომ კი, როგორც მასწავლებელმა, თუ მე

ამას მივაღწევ.

სპორტული ქიუდოს მიმართულების განსაზღვრისას ძიგარო კანო იმოწმებდა შემდეგ იაპონურ ანდაზას: „ღმობიერება დაამარცხებს ძალას“. ამით იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ ქიუდოში წინა პლანზე უნდა ჩანდეს არა ძალღონის ჭიდილი, როგორც ეს მაგალითად სუმოში ხდება, არამედ სწრაფი აზროვნება და სიმკვირცხლე. ამ მოთხოვნის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს შემდეგი ფორმულა: „დაეუშვათ ერთი კაცის ძალა ერთეულებით იზომება, ვთქვათ ჩემს პარტნიორს ძალის 10 ერთეული გააჩნია, მე კი მასზე გაცილებით პატარა და სუსტი ვარ. ჩემი ძალა უდრის 7 ერთეულს. თუ იგი მთელი ძალით მომაწვება, მე დაეუთმობ მას, შესაძლოა დავეცე კიდევ. მაგრამ, თუ მე იმავე ძალით (რომლითაც მეტოქე მიტევს) დავიწყებ მისი ჩველებებიდან გასხლტომას, ე.ი. მანევრებისას, მაშინ იგი იძულებული გახდება დაიხაროს ჩემსკენ და ამით, წონასწორობა დაკარგოს. ასეთ მდგომარეობაში ისიც სუსტდება. რა თქმა უნდა, მის ძალას იგი კვლავ შეინარჩუნებს, მაგრამ ამ მომენტში ჩემი პარტნიორი მას ვერ გამოიყენებს. ჩემმა მეტოქემ დაკარგა საყრდენი წერტილი და 10 ერთეულიდან მას მხოლოდ 3 ერთეულიღა დარჩა. მე კი არ დამიკარგავს წონასწორობა და ვინარჩუნებ ჩემი ძალის 7 ერთეულს. გარკვეულ მომენტში უკვე ჩემს მეტოქეზე ძლიერი ვარ და აი, სწორედ ახლა მე უნდა გავიმარჯვო და დიდი ძალღონე არ დავხარჯო“. ამასთან დაკავშირებით, ძიგარო კანო უდიდეს

მნიშვნელობას ანიჭებდა რთული ტაქტიკურ-ტექნიკური მოქმედებების სრულყოფას დგომსა და ჩოქბჯენში, უპირველეს ყოვლისა კი, კონტრშეტევებსა და კომბინაციებს.

სპოხტული ძიუდოს ისტორია

ძიუდოს ჩამოყალიბების პროცესში ძიგარო კანოსა და მისი მოსწავლეების ფართო და მრავალმხრივმა მოსამზადებელმა მოღვაწეობამ თანდათან შექმნა პირობები და შესაძლებლობანი სპორტული შეჯიბრებების ჩატარებისათვის. 1883წ. ძ. კანომ მოსწავლეებისათვის შეიმუშავა პირველი სათანრიგო სისტემა. 1900 წელს შემუშავებული იყო შეჯიბრების პირველი წესები. იაპონიის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი ჩატარდა 1925 წელს. აქედან მოყოლებული, იგი ყოველწლიურად ტარდებოდა.

ოცდაათიანი წლების დამდეგს სპორტული ძიუდო განვითარებას იწყებს ევროპის რიგ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში. რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხებისა და პორტსაიდის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, მეფის მთავრობამ იაპონიაში სასწავლებლად გაგზავნა ობოლთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 13 წლის ვასილ ოშჩეპკოვი. ჭაბუკი გაიტაცა ძიუდომ და გადაწყვიტა საფუძვლიანად დაუფლებოდა ამ სახეობას. ამ მიზნით, 1908 წელს იგი სასწავლებლად შედის კოდოკან-

ძიუდოს განვითარების ისტორია

ში, სადაც უცხოელებისთვის სწავლა მეტად რთული იყო. მიუხედავად ამისა, ვ. ოშჩეკოვმა სწავლების სრული კურსი გაიარა და შავი ქაშარი და მეორე დანი დაიმსახურა.

1913 წელს ვ. ოშჩეკოვი რუსეთში დაბრუნდა და დაიწყო ძიუდოს პროპაგანდა.

1929 წლის დამლევს ვ. ოშჩეკოვმა შეიმუშავა უიარაღო ხელჩართული ბრძოლის განაყოფი და ჩამოაყალიბა ინსტრუქტორთა 2-თვიანი კურსები. ამ კურსის სასწავლო პროგრამაში შევიდა: 1. გდებები, ბერკეტები, დარტყმები ხელებითა და ფეხებით, მოგუდვები; 2. უიარაღო ადმიანის დაცვის ილეთები შაშხანით, რევოლვერით, ხმლით, დანით ან სხვა სახის ცივი იარაღით შეიარაღებული მეტოქის წინააღმდეგ; 3. უიარაღო პირისათვის ხელჩართული ბრძოლის ილეთები. ამის საფუძველი იყო თავდაცვის იაპონური სისტემა „ძიუდო“.

1931 წელს საბჭოთა კავშირში მიიღეს საკავშირო კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“, რომლის მეორე საფეხურის ნორმატივებში შეიტანეს თავდაცვის ზოგიერთი ილეთი.

1932-დან 1937 წლამდე ვ. ოშჩეკოვი მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაუებსა და ქალებს ასწავლის ძიუდოს.

ვ. ოშჩეკოვის შრომები საფუძველად დაედო ჭიდაობის ახალ სახეობას, რომელსაც თავდაპირველად „თავისუფალი სტილის ჭიდაობა“ ეწოდა, ხოლო ვინაიდან 1946 წელს, საერთაშორისო ფედერაციამაც ჭიდაობის ახალ

სახეს „თავისუფალი ჭიდაობა“ უწოდა, ვ. ოშჩეპკოვის მიერ შემოღებულ სახეობას შეეცვალა სახელი და „სამბო“ ეწოდა. შემდგომში “სამბოს” ტექნიკური არსენალი შეივსო საბჭოთა კავშირის ხალხთა ჭიდაობის ეროვნული სახეობების, განსაკუთრებით კი ქართული ჭიდაობის ილეთებით.

1934 წელს დრეზდენში ჩატარდა პირველი არაოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

1936 წელს ძიგარო კანო დაესწრო ბერლინის ოლიმპიურ თამაშებს. მას სურდა, რომ ძიუდო გამხდარიყო სპორტის ოლიმპიური სახეობა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა მისი სურვილის განხორციელებას.

ომის შემდგომ, იაპონიაში ძიუდო კვლავ აღორძინდა და 1948 წელს ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატი. ამავე წელს ლონდონში შეიქმნა ძიუდოს ევროპის კავშირი, რომელიც შეუდგა ევროპის ჩემპიონატების მომზადებას. ევროპის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი პარიზში 1951 წელს გაიმართა მასში 20 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამავე წელს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა, რომელსაც სათავეში ძიგარო კანოს ვაჟი – რისეი კანო ჩაუდგა თავდაპირველად საერთაშორისო ფედერაციაში 30-მდე სახელმწიფო შედიოდა. 1956 წელს ტოკიოში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი,

ძიუდოს განვითარების ისტორია

რომელშიც 21 ქვეყნის სპორტსმენი მონაწილეობდა. ეს შეჯიბრი წონითი კატეგორიების გარეშე ჩატარდა. პირველი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული იაპონელმა ს. ნატ-ზუიმ მოიპოვა. ვერცხლის მედალი აგრეთვე იაპონელ მარტსუმის, ხოლო ბრინჯაოსი ა. გეესინკს (ნიდერლანდები) ერგო ეს იყო მისი პირველი მედალი მსოფლიო ასპარეზზე. მანამდე მან 1951 წელს მოიპოვა პირველი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი. 1957-1958 წლებში, მეორე და მესამე მსოფლიო ჩემპიონატები კვლავ ტოკიოში ისევ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ჩატარდა. მეორე მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ ს. ატსუიმ, ხოლო მესამეში კ. შონემ გაიმარჯვა.

იაპონელთა ჰეგემონია მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატზე 1961 წელს პარიზში დაირღვა. ოქროს მედალი 27 წლის ჰოლანდიელმა ანტონ გეესინკმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონი კ. სონე დაამარცხა

ა. კულეშოვის მონაცემებით ა. გეესინკს იმ დროისათვის შემდეგი ანტროპომეტრიული მონაცემები გააჩნდა: სიმაღლე – 198სმ, წონა – 128კგ, კისრის გარშემოწერილობა – 58სმ, გულ-მკერდისა – 130სმ, ბიცეფსის – 49სმ. ჩემპიონის ამ მაჩვენებლებმა იაპონელები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო წონითი კატეგორიების შემოღება, რაც საერთაშორისო ფედერაციამ დადებითად შეაფასა.

თავდაპირველად ევროპის ჩემპიონატები კიუის, დანებ-

სა (მოყვარულები) და პროფესიონალებს შორის ტარდებოდა, შემდეგ კი ოპენკლასში, სადაც მოყვარულები და პროფესიონალები მონაწილეობდნენ.

როდესაც ჩვენმა სამბისტებმა პირველად დაიწყეს მონაწილეობის მიღება ევროპის ჩემპიონატებზე, არსებობდა შეჯიბრის ჩატარების შემდეგი სისტემა: ჩემპიონატი იწყებოდა გუნდური შეჯიბრით, სადაც თამაშდებოდა მედლების კომპლექტი (მედალი გუნდის ყველა მონაწილეს გადაეცემოდა), შემდეგ დღეებში ევროპის პირადი ჩემპიონატი ცალკეულ წონით კატეგორიებში ტარდებოდა, სადაც ყველა ქვეყანას ჰქონდა უფლება ჩემპიონატზე ჩამოეყვანა ორ-ორი სპორტსმენი თითოეულ წონით კატეგორიაში, მათ შორის აბსოლუტურში და ამასთან ისინი გუნდურ და პირად შეჯიბრში მონაწილეობდნენ.

ამ თანმიმდევრობით ტარდებოდა ევროპის ჩემპიონატები 1972 წლამდე. 1973 წლიდან უპირატესობა პირად ტურნირს მიეცა, ჩემპიონატის ბოლო დღეს კი ნაკრები გუნდები ჩემპიონის ბედს გუნდურ შეჯიბრში არკვევდნენ.

მაგრამ აქაც გაჩნდა ხარვეზი — პირადი შეჯიბრის შემდეგ ზოგიერთი სპორტსმენი, ვინც წარმატებით იასპარეზა პირად ტურნირში — თავს არიდებდა გუნდურ შეჯიბრს, სხვა შემთხვევაში კი პირად ტურნირში მიღებული ტრავმის გამო გუნდურ შეჯიბრში ვერ ახერხებდა გამოსვლას.

ძიუდოს განვითარების ისტორია

1977 წლის ძიუდოს ევროპის კავშირის სხდომაზე ლიუდვიგსპაფენში მიიღეს გადაწყვეტილება: 1978 წლიდან ევროპის პირადი და გუნდური ჩემპიონატები ჩატარებულიყო ცალ-ცალკე: პირადი გაზაფხულზე, გუნდური შემოდგომაზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ძიუდოისტებს, როგორც არ უნდა ჩატარებულიყო ევროპის ჩემპიონატი, უპირატესობა ენიჭებოდა გუნდურ შეჯიბრს. სწორედ ამიტომ 1970 წელს, როცა საბჭოთა კავშირის გუნდმა 4-ჯერ ზედიზედ გუნდური ჩემპიონის ტიტულის მოგების შემდეგ ვერ დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული – საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის ბრძანებით იყო თანამდებობიდან ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვ. ანდრეევი გაანთავისუფლეს.

ამ აზრს ადასტურებს კიდევ ერთი ფაქტი. 1973 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა თანამემამულემ გურამ გოგოლაურმა. გ. გოგოლაურის ვაჟკაცური ბრძოლით აღფრთოვანებულმა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა ა. კოლესოვმა იქვე დააუაღა ბ. მაზიაშვილს სახლში დაბრუნებისას სასწრაფოდ გამოეგზავნა მოსკოვში წარდგინება გ. გოგოლაურისთვის „სპორტის დამსახურებული ოსტატის“ წოდების მინიჭების თაობაზე.

1959 წელს ძიუდო ოფიციალურად დამტკიცდა როგორც

ოლიმპიური სპორტის სახეობა და 1961 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ძიუდო შეიტანა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, რამაც დააჩქარა საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილება საბჭოთა სპორტსმენები ძიუდოს ევროპულ კავშირში (უედ) და საერთაშორისო ფედერაციაში (ფიდ). გაწვევრიანებულიყვნენ. ამის შემდეგ გადაწყდა საბჭოთა კავშირის ნაკრების მომზადება ამ თამაშებისათვის.

ვინაიდან საქართველო 1991 წლამდე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ქართული ძიუდოს განვითარება ამ დროის მონაკვეთზე (1921-1991წწ) ერთად წარმოგიდგინოთ, სადაც ძირითადი ყურადღება ჩვენი ფალანგების შედეგებს მივაქცევთ.

შერჩეული და დამტკიცებული იყო სამბისტების ნაკრები გუნდის კანდიდატა სია, რომლებიც ფლობდნენ ძიუდოსთან სტრუქტურულად მიმსგავსებულ ისეთ ტექნიკას, რომელიც ნებადართული იყო შეჯიბრის წესებით. 68კგ. წონით კატეგორიაში ნაკრების კანდიდატებად სხვებთან ერთად დასახელდნენ: თენგიზ არაბული და რობერტ ჯღამაძე; 80კგ წონით კატეგორიაში გოდერძი ნონიკაშვილი; მძიმე წონაში (+80კგ) ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი და ფარნაოზ ჩიქვილაძე.

ეს მოხდა 1962 წელს, მაგრამ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში

ემზადებოდნენ ამისათვის. 1957 და 1960 წლებში ჩატარდა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძიუდოისტებთან, სადაც საბჭოთა კავშირის გუნდს სამბისტები წარმოადგენდნენ. ტურნირი ჩატარდა შეთანხმებული წესებით: უნგრეთისა და გერმანიის ძიუდოისტებს ორთაბრძოლის დროს არ უნდა გამოეყენებინათ მახრჩობელა ილეთები, სამაგიეროდ ჩვენს სამბისტებს არ უნდა ჩატარებინათ მტკივნეული ილეთები ფეხებზე.

გარდა ამისა, შეჯიბრის წინ შედგა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ თუ ერთ-ერთი სპორტსმენი შეასრულებდა ორ გდებას, შეჭიდი წყდებოდა და მას ენიჭებოდა სუფთა გამარჯვება.

შეჯიბრი ჩატარდა რვა წონით კატეგორიაში.

ეს შეხვედრები საბჭოთა სპორტსმენების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. საკმარისია ითქვას, რომ მათ დაამარცხეს უნგრელები ანგარიშით 47:0!

1962 წლის გაზაფხულზე გერმანიის ქალაქ ესენში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენების ოფიციალური დებიუტი შედგა, მაშინ ჩვენში ჯერ არ იყო ძიუდოს სექციები, ამიტომ გუნდი სამბისტებით დაკომპლექტდა. საბჭოთა სპორტსმენებმა ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გუნდურ ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა ჰოლანდიის გუნდთან წაგებით III ადგილი მოიპოვა. ეს დებიუტანტთა დიდი წარმატება იყო. ევროპის ჩემპიონები გახდნენ

ანზორ ქიბროწაშვილი და ანზორ კიკნაძე. გამარჯვება ჯერ ანზორ ქიბროწაშვილმა მოიპოვა, 10 წუთის შემდეგ კი ჩემპიონის ტიტულს ანზორ კიკნაძეც ეზიარა, რომელიც შემდგომ მრავალი წლის განმავლობაში გუნდის უცვლელი ლიდერი იყო. ანზორ კიკნაძე იყო მრავალჭიდელი მოჭიდავე. ის არ არიდებდა თავს ნებისმიერი რანგის შეჯიბრში მონაწილეობას. ამიტომ გარდა იმისა, რომ ის ძიუდოში ევროპის რვაგზის ჩემპიონი იყო, ანზორი ხუთჯერ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალაენი გახდა, ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო სამბოში და საბჭოთა კავშირის გამარჯვებული გუნდურ ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში 1961 წელს, მაშინ როდესაც მიხეილ თიკანაძემ შესთავაზა საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობა მიეღო, სადაც გუნდური III ადგილისთვის ბრინჯაოს მედლები ა. ქიბროწაშვილს, ა. კიკნაძეს და დ. ბერუაშვილს გადაეცათ.

1963 წელს ჟენევაში ჩვენი გუნდი გახდა პირველი ევროპაში. ჩემპიონის ოქროს მედლით დაჯილდოვდა ანზორ კიკნაძე. პირად შეჯიბრში ჩემპიონის წოდება არონ ბოგოლუბოვმა (რიგა) მოიპოვა, ანზორ ქიბროწაშვილმა ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

1962 და 1963 წ. ევროპულ ტატამზე წარმატებულმა გამოსვლამ ჩვენი ძიუდოს მიმართ, ევროპის წამყვანი ქვეყნების და ძიუდოს ფუძემდებლების ინტერესი გამოიწვია.

1962 წელს ფრანგმა ძიუდოისტებმა მოსკოვში, კიევსა და თბილისში სამი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს და სამივე პაექრობა საბჭოთა ძიუდოისტების გამარჯვებით ანგარიშით 6:2, 6:2 და 5:3 დასრულდა.

1963 წელს თბილისში, ორჯონიკიძეში (ვლადიკავკაზში) და მოსკოვში იაპონიის ნაკრებმა სამი ამხანაგური შეხვედრა: გამართეს და სამივე შეხვედრა იაპონელებმა აშკარა უპირატესობით მოიგეს.

1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადის წინ იაპონიის ნაკრებმა მოსკოვში წინა ოლიმპიურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. მაცურებლებს, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს მიეცათ საშუალება თავად ეხილათ ძიუდოს ტექნიკის ვირტუოზები ტ. ნაკატანი, ი. ოკანო და ი.ინოკუმა, რომლებიც ჰოლნდიელ ძიუდოისტთან ერთად ტოკიოში გახდნენ ამ სახეობაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონები. ამ ტურნირზე წარმატებით იასპარეზა გოდერძი ნონიკაშვილმა, რომელმაც ფინალური შეხვედრა ი. იკანოსთან დათმო.

შეჯიბრის მსვლელობამ დაარწმუნა ჩვენი მწვრთნელები და სპორტსმენები, რომ სათანადო მომზადების შემდეგ იაპონელებთან შესაძლებელია წარმატებით ბრძოლა. ეს წარმატებით დაადასტურა 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა.

მაგრამ, მანამდე, ჩვენმა ფალანგებმა მიიღეს მონაწილეობა 1964 და 1965 წლების ევროპის ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებში.

როგორც 1963 წელს, 1964 და 1965 წწ. ევროპის ჩემპიონატებზე გუნდი კიდევ ორჯერ გახდა ჩემპიონი (სამჯერ ზედიზედ!). ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ ფ. ჩიქვილაძე და ა. კიკნაძე (1964წ.), ა. ქიბროწაშვილი და ა. კიკნაძე (1965წ.).

პირად შეჯიბრში ევროპის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედლები ა. კიკნაძემ (ორჯერ), ფ. ჩიქვილაძემ და ა. ქიბროწაშვილმა მოიპოვეს.

1964 წლიდან ძიუდო ოლიმპიური თამაშების ახალი სახეობაა. უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის ძიუდო ორმოცზე მეტ სახელმწიფოში იყო გავრცელებული. ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ ტ. ნაკატანი 68კგ-მდე, ი. ოკანო 80კგ-მდე და ი. ინოკუმა (მძიმე წონა). ოლიმპიადაზე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულიც გათამაშდა. აქ კონკურენციის გარეშე ჰოლანდიელი გოლიათი ა. ეესინკი იყო, რომელმაც ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სავსებით დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს საბჭოთა ძიუდოისტებს დებიუტი. იმ დროს ყოველ გუნდს შეეძლო ერთ წონით კატეგორიაში ორი მონაწილის გამოყვანა. ნაკრების მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტა ორ-ორი მოჭიდავე გამოეყვანა 68კგ-მდე ოლეგ სტეპანოვი და არონ ბოგოლიუბოვი და მძიმე წონაში ანზორ კიკნაძე და ფარნაოზ ჩიქვილაძე. ოთხივე სპორტსმენმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, არაოფიციალურ

ძიუდოს განვითარების ისტორია

ჩათვლაში საბჭოთა ნაკრები მხოლოდ იაპონელებს ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა. შეჯიბრის შემდეგ ჩვენს ოთხივე ძიუდოისტს „სპორტის დამსახურებული ოსტატის“ წოდება მიენიჭა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე გუნდებს ყოველ წონით კატეგორიაში მხოლოდ ერთი მონაწილის გამოყვანის უფლება ჰქონდა, თუმცა ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე 1977 წლამდე ძველი წესი მოქმედებდა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებს ყოველ წონით კატეგორიაში ორ-ორი მონაწილის გამოყვანა შეეძლო.

სამოციანი წლების ბოლოს და სამოცდაათიანის დასაწყისში, ძიუდომ ფართო განვითარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. 1965 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ რეგულარულად ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები (1977 წლის გარდა), ასევე ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის ევროპისა და მსოფლიო პირველობები.

1965 წელს რიო-დე-ჟანეიროში ქართველმა სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში პირველად მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში.

დებიუტი დამაიმედებელი იყო—იაპონელები გამარჯვებებს აღწევდნენ მძიმე ბრძოლებში და ერთ შეჯიბრში ანზორ კიკნაძემ დაამარცხა იაპონელი კატო, ფარნაოზ ჩიქვილაძემ წააგო თანაბარ ბრძოლაში საკაგუჩისთან, ხოლო ანზორ ქიბროწაშვილი ფინალურ შეხვედრას

ოლიმპიურ ჩემპიონ ი. ინოკუმასთან იგებდა 14 წუთს და მერე მოყვა ინოკუმას ილეთზე. ბრაზილიიდან ჩვენმა ფალანგებმა წამოიღეს ერთი ვერცხლის (ანზორ ქიბრო-წაშვილი) და ერთი ბრინჯაოს მედალი (ანზორ კიკნაძე). მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლისათვის ა.ქიბროწაშვილს მიენიჭა „სპორტის დამსახურებული ოსტატის“ წოდება.

ამ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ი.ინოკუმამ და ა. გეესინკმა და სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. ეს ორი მძიმეწონოსანი ფალანგი მსოფლიოში ფავორიტები იყვნენ, თუ ი.ინოკუმა მაღალი ტექნიკით და მცირე წონით (86კგ.) განსხვავდებოდა, ა. გეესინკი ტექნიკასთან ერთად კარგად იყენებდა თავის ფიზიკურ მონაცემებს.

1966 წელს გუნდმა მეოთხედ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატზე. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ ა. კიკნაძე და ა. ქიბროწაშვილი. პირად ჩემპიონატში ვერცხლი ფ. ჩიქვილაძეს ერგო, ხოლო ა. ქიბროწაშვილი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. იმავე წელს ჭაბუკებმა და იუნიორებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ევროპის პირველობაში. ამ შეჯიბრში შ.ფიცხელაურმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

იტალიაში, 1967 წლის ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა მოპოვებული პოზიციები დათმო და მე-3 ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედლით ა. კიკნაძე დაჯილდოვდა. პირად შეჯიბრში ვიცე ჩემპიონე-

ბი ა. კიკნაძე და ა. ქიბროწაშვილი გახდნენ.

მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ძიუდოისტებისათვის 1967 წელი. თებერვალში ჩვენ პოლანდიის ნაკრები გვეწვია, რომელმაც სამი ამხანაგური შეხვედრა მოსკოვში, მინსკში და რიგაში ჩაატარა.

მოსკოვში ნაკრებ გუნდში იჭიდავა ჩვენმა სამმა თანამემამულემ: ფირუზ (ანზორ) მარტყოფლიშვილმა, გივი კახაბრიშვილმა და ანზორ ქიბროწაშვილმა. კარგად იჭიდავა ფურუზ მარტყოფლიშვილმა. მან მოიპოვა წმინდა გამარჯვება, გ. კახაბრიშვილმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა, ა. ქიბროწაშვილმა მცირე უპირატესობით მოუგო ეგროპის ჩემპიონს ვ. რიუსკას.

ამავე წელს ივნისში ჩვენი ნაკრები გუნდი იაპონიას ეწვია, სადაც სამ სხვადასხვა ქალაქში ოთხი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა.

იაპონელებმა ყველა წონით კატეგორიაში 34 ძიუდოისტი ბოლო წლების ყველა მსოფლიო, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო სტუდენტური პირველობის გამარჯვებულები გამოიყვანეს. გუნდში არ იყო მხოლოდ ი. ინოკუმა, რომელიც იმ დროისთვის უკვე აქტიურ სპორტს დაემშვიდობა.

ქ. ოსაკაში ჩვენს წინააღმდეგ იაპონელებმა ყველაზე ძლიერი შემადგენლობა გამოიყვანეს. ჩვენმა ძიუდოისტებმა კარგად ჩაატარეს ეს შეხვედრა 2 მოიგეს, სამი ფრედ დაასრულეს და 6 წააგეს. მოგებულებს შორის ჩვენი თანამემამულე რ. მაღალთაძე იყო. სენსაციად ბ. მიშჩენ-

კოს გამარჯვება აღიარეს, რომელმაც ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ი. ოკანო 20 წამში „მტკივნეული ილეთით დაამარცხა. გულმოსული ი. ოკანო ჩაუჯდა ამ მტკივნეული ილეთის დამუშავებას და აპირებდა საპასუხო ვიზიტის დროს დაემარცხებინა ბ. მიშჩენკო ამ ილეთით მაგრამ გამართულ სამ შეხვედრაში სიმფეროპოლში, თბილისში და ორჯონიკიძეში მწვრთნელებმა არ აჭიდავეს ბ. მიშჩენკო, ხოლო თვით ი. ოკანომ სამივე შეხვედრა მტკივნეული ილეთით მოიგო.

მეორე და მესამე შეხვედრები ჩვენმა ათლეტებმა ქ. ფუკუოკაში დაძაბულ ბრძოლაში წააგეს, ანგარიშით 7:2 და 4:2, ხუთი შეჭიდი დამთავრდა ფრედ. გამარჯვებულებს შორის იყო ო. ნათელაშვილი, რომელმაც სხვებთან ერთად მაღალი შეფასება მიიღო და მათ გახეთ „ფუკინიტისპორტის“ კორესპონდენტებმა მათ მომავლის მოჭიდავეები და იაპონელების რისხანე მეტოქეები უწოდეს.

მეოთხე დასკვნითი შეხვედრა იაპონიის დედაქალაქში ბუდოკანის დარბაზში გაიმართა, რომელიც 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადისთვის ააშენეს და ის 16 ათას მაყურებელს იტევდა.

ეს შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 0:5 წააგო.

ფრედ დაამთავრეს შეხვედრები ა. მარტყოფიშვილმა და ო. ნათელაშვილმა. სულ იაპონიაში ქართველმა ძიუდოისტებმა 16 შეხვედრა ჩაატარეს, მათგან სამი მოიგეს, ოთხი ფრედ დაამთავრეს და 9 პაექრობა წააგეს.

საუკეთესო შედეგი ოთარ (ჯემალ) ნათელაშვილმა აჩვენა. ორი შეჭიდი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ერთი წააგო.

1968 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჰოლანდიაში სამი ამხანაგური შეხვედრა გამართა, რომლის შემადგენლობაში ა. მარტოფლიშვილმა, რ. მაღალთაძემ, ვ. ბორჩაშვილმა და გ. კახაბრიშვილმა იჭიდავეს. ჩვენი ფალანგებიდან ანზორ მარტყოფლიშვილმა აჩვენა საუკეთესო შედეგი: სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო, გამარჯვება იზეიმა რ. მაღალთაძემ, ვ. ბორჩაშვილმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, იენისში, საპასუხო ვიზიტით იაპონიის ნაკრები გვესტუმრა, რომელმაც სამი ამხანაგური შეხვედრა სიფეროპოლში, თბილისში და ორჯონიკიძეში ჩაატარა და სამივე შეხვედრა სტუმრების სასარგებლოდ სიმფეროპოლში 8:1, თბილისში 6:1 და ორჯონიკიძეში 7:0 დასრულდა, თბილისში გ. ონაშვილმა გაიმარჯვა, ა. მარტყოფლიშვილმა და ო. ნათელაშვილმა თავისი შეხვედრები ფრედ დაასრულეს.

1968 წლის ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრები კელავ დარჩა ოქროს მიღმა. ფინალში შეხვედა საფრანგეთის ნაკრებს და 2:3 წააგო. ვერცხლის მედლები ოთარ ნათელაშვილს და ანზორ ქიბროწაშვილს ერგოთ. პირად შეჯიბრში ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ფირუზ (ანზორ) მარტყოფლიშვილმა და როინ მაღალთაძემ, ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ ოთარ

(ჯემალ) ნათელაშვილი და ანზორ ქიბროწაშვილი.

მეხიკოს ოლიმპიადაზე ძიუდო ოლიმპიადის პროგრამაში არ შეიტენეს. 1969 წელს ორი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრი – ჩატარდა, მათგან კონტინენტის პირველობას ბელგიამ და მსოფლიო ჩემპიონატს მეხიკომ უმასპინძლა.

გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა. ევროპის პირად ჩემპიონატზე ანზორ ქიბროწაშვილმა და გივი ონაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ ახალგაზრდა ფალავანი გივი ონაშვილი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

1970 წელს ბერლინში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, ასევე მეორე ადგილზე გ. ონაშვილი გავიდა.

ამავე წელს შეიცვალა საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანდრეევის ნაცვლად ს. იონოვი დაინიშნა, რომელიც გუნდს თერთმეტი თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

შვედეთში ევროპის 1971 წლის ჩემპიონატზე ჩვენმა ძიუდოისტებმა შენგელი ფიცხელაურმა და გურამ გოგოლაურმა, რომლებიც პირველად ღებულობდნენ მონაწილეობას ასეთი რანგის შეჯიბრში, ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო გივი ონაშვილი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, მანამდე გუნდურ შეჯიბრზე ნაკრები მე-3 ადგილზე გავიდა.

ბრინჯაოს მედლით მაშინ ფირუს (ანსორ) მარტყოფლიშვილი დაჯილდოვდა.

ახლოვდებოდა მიუნხენის ოლიმპიური თამაშები. განვლილი თერთმეტი თვის განმავლობაში სპორტის მესვეურებს შორის გაჩნდა უკმაყოფილების შეგრძნება და მღელვარება იმის გამო, რომ მთავარ გუნდში არ იყო საიმედო მდგომარეობა. 1971 წლის ბოლოს მათ გუნდის სათავეში კვლავ გამოცდილი მწვრთნელი ვლადლენ ანდრეევი დააბრუნეს და მას შემდეგ ის კიდევ ექვსი წლის განმავლობაში ძიუდოისტთა ნაკრების მომზადებისა და ქვეყანაში ძიუდოს განვითარებისათვის ზრუნავდა.

ეს იყო იშვიათი შემთხვევა საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებაში, რადგან მაშინ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ნაკრების მთავარ მწვრთნელად კვლავ მუშაობა გამორიცხული იყო.

საბჭოთა კავშირში ძიუდოს განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი სსრკ დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადლენ მიხეილის ძე ანდრეეევმა და მისმა თანაშემწეებმა ვ.თ. მასლოვმა, ბ.დ. მაზიაშვილმა და ი.მ. ვოლოშიუკმა შეასრულეს.

ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭის, მაღალი ინტელექტის, საყვარელი საქმისადმი ერთგულების მეშვეობით, ვ. ანდრეეევა შეძლო თავის გარშემო შეეკრა და დიდი, ხშირად მძიმე შრომისათვის განეწყო მწვრთნელების, სპორტსმენების, მეცნიერ მუშაკებისა და ექიმების კოლექ-

ტივი, რათა საბჭოთა ძიუდოს მოწინავე პოზიციები დაეკავებინა მსოფლიო ასპარეზზე.

„საბჭოთა კავშირში ძიუდოს განვითარების შესახებ“ დადგენილების მიღებამდე, განსაკუთრებით კი მისი მიღების შემდეგ ვ. ანდრეევი ბევრს მოგზაურობდა მთელს კავშირში, დიდი სააგიტაციო, საორგანიზაციო და მეთოდური მუშაობით ქვეყანაში ძიუდოს პროპაგანდას ეწეოდა.

სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული საბჭოთა ძიუდოს ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებები. საკმარისია ითქვას, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 9-ჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. არაჩვეულებრივი სელექციური აღდოს წყალობით მან აღმოაჩინა პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი, დიდი სპორტისთვის აკურთხა შემდგომში მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ.ნევეზოროვი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ნ. სოლოდუხინი. მისი ხელმძღვანელობით მონრეალის ოლიმპიადაზე საბჭოთა გუნდმა 2 ოქროს, 2 ვერცხილსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედალი რ. ხარშილაძემ, ხოლო ბრინჯაოსი შ. ჩოჩიშვილმა დაისაკუთრეს. დღეისთვის შოთა ჩოჩიშვილი ერთადერთი ქართველი ძიუდოისტია, ვისაც ორი ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული.

მისი ინიციატივით ითარგმნა ცნობილი უცხოელი სპეციალისტების ხ.ესინკისა და ტ.ივაის თანაავტორობით

შექნილი ორი წიგნი, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში ძიუდოს სპეციალისტების მომზადებაში დიდი როლი ითამაშეს.

1971 წლის დეკემბერში ვ. ანდრეევმა მოსკოვში საკაფშირო შესარჩევი ტურნირი ჩაატარა, რის შედეგადაც ნაკრებ გუნდში კანდიდატებად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: გ. გოგოლაური, რ. ხარშილაძე, ა. მუზაევი, შ. ჩოჩიშვილი, რ. ოდიშელიძე, ჯ. ნიჟარაძე და გ. ონაშვილი ჩაირიცხნენ.

ამ შემადგენლობით საქართველოს წარმომადგენლები მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადისათვის მზადებას შეუდგნენ. იმავე წელს იყო დამტკიცებული მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობა, რომელიც შეუდგა გუნდის მომზადებას ოლიმპიადისათვის (ვ. ანდრეევი — მთავარი მწვრთნელი, მწვრთნელები: ბ. მაზიაშვილი, ვ. მასლოვი, ი. ეოლოშჩუკი, ბ. მიშჩენკო, კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი გ. რატიშვილი, ექიმი მ. მინოსიანი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული სამბოსა და ძიუდოს ზოგიერთი ელემენტის მსგავსებამ, აგრეთვე საბჭოთა კავშირში სამბოს დიდმა პოპულარიზაციამ, პირველ ხანებში განაპირობა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებები ძიუდოსტთა საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ წარმატების განმტკიცებისათვის საჭირო იყო ძიუდოში სისტემატური და მიზანმიმართული მუშაობის წარმართვა. სპორტული საზოგადოება და საკაფშირო სპორტკო-

მიტეტი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა სამბოსა და ძიუდოს გამიჯვნა და ძიუდოსტთა დამოუკიდებელი საკავშირო ფედერაციის შექმნა. 1972 წლის 23 თებერვალს სსრკ სპორტკომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „საბჭოთა კავშირში ძიუდოს განვითარების შესახებ“, რაც ფაქტიურად საბჭოთა კავშირში ძიუდოს დაბადებას აღნიშნავდა. მიღებულ იქნა საორგანიზაციო ღონისძიებანი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადისათვის მოსამზადებლად. გადაწყდა:

გაიმიჯნოს სამბო და ძიუდო;

შეიქმნას ძიუდოს საკავშირო ფედერაცია;

1973 წლიდან ჩატარდეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები;

1973 წლიდან ყველა ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიხსნას ძიუდოს სპეციალიზაცია მწვრთნელთა კადრების მოსამზადებლად;

სპორტული რეზერვების მოსამზადებლად ბავშვთა და ახალგაზრდულ სკოლებში გაიხსნას ძიუდოს განყოფილებები;

სპორტული ოსტატობის ასამაღლებლად ძიუდოშ ეტანილ იქნას საკავშირო „სპორტულ კლასიფიკაციაში“ და სხვა.

1969-1972 წლების ოლიმპიური ციკლი დამთავრდა ევროპის ჩემპიონატში და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობით. ჰააგაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში გ. გოგოლაურმა გაიმეორა წინა წლის შედეგი და

ძიუდოს განვითარების ისტორია
ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო გ. ონაშვილმა
შედეგი გააუმჯობესა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.
გუნდურ შეჯიბრში ჩვენმა ნაკრებმა 1967 წელს დაკარ-
გული ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა. გ. გოგოლაური და
გ. ონაშვილი ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

მიუნხენის თამაშებზე ძიუდომ ოლიმპიური სტატუსი
მიიღო, 1972 წლის ოლიმპიადაზე 153 ძიუდოისტი მონაწი-
ლეობდა. საბჭოთა ძიუდოისტებმა ერთი ოქროს, ერთი
ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოქროს
მედალი შოთა ჩოჩიშვილს ერგო. ბავშვობაში იგი ქართუ-
ლი ჭიდაობით იყო გატაცებული და სწორედ ჩვენებური
კისრულით დასცა ზურგზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიო-
ნი ფ. სასახარა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა გივი
ონაშვილს. გურამ გოგოლაური მეხუთე ადგილს დასჯერ-
და.

თავისებური და ჯერ-ჯერობით დღემდე განუმეო-
რებელი რეკორდი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე
ჰოლანდიელმა ძიუდოისტმა ვილემ რიუსკამ დაამყარა.
მან ორი ოქროს მედალი მოიპოვა მძიმე და აბსოლუ-
ტურ კატეგორიებში. ასეთივე წარმატებას მხოლოდ მსოფ-
ლიოს ჩემპიონატზე იაპონელმა ფალანგებმა ი. იამასიტ-
ომ (1981წ.), ნ. ოგავამ (1989წ.), შ. შინოხარამ (1999წ.), ფრანგმა
დ. დუიემ (1995წ.) და რუსმა ა. მიხაილინმა (2001წ.) მიაღ-
წიეს.

1964 წლიდან 1976 წლამდე ძიუდომ განიცადა ცე-
ლილებები, იგი გაიზარდა როგორც რიცხოვნობით, ასევე

ხარისხობრივად. 1972 წელს საერთაშორისო ფედერაცია უკვე 80-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებდა, 1976 წლიდან კი – 104-ს (ამჟამად ამ რიცხვმა 190-ს გადააჭარბა), გაიზარდა წონითი კატეგორიების რიცხვი (1977 წლიდან მათი რაოდენობა რვაამდე გაიზარდა), ამდღადა სპორტსმენთა საერთო კლასი, ძიუდოს პოპულარობა სულ უფრო მატულობს, ახლა უკვე სპორტის ამ სახეობამ ქალებიც გაიტაცა.

სპორტში XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება ქალების ფართო შეჭრით მამაკაცთა სპორტის სახეობებში, ისეთში, როგორიცაა ფეხბურთი, ძალოსნობა, ჭიდაობა და სხვა.

გამონაკლისი არც ძიუდო იყო. ძიუდოს ფუძემდებელს ძიგარო კანოს მეუღლე სუმაკომ ქორწინებამდე ჩააბარა გამოცდები... ძიუდოში. ახალ იღეთებს ძიგარო კანო ხანდახან მეუღლეზე ამუშავებდა და მერე აჩვენებდა მოსწავლეებს.

კანო სუმაკოსთან ხშირად იკრიბებოდნენ მისი მეგობრები თავიანთ შვილებთან ერთად. ძიგარო კანო და მისი მოსწავლეები ერთად ასწავლიდნენ მათ ძიუდოს. XX საუკუნის პირველ ნახევარში კოდოკანში რამდენიმე ქალბატონი ვარჯიშობდა, მათ შორის იყვნენ ცნობილი ქალი ძიუდოისტები, ხორი უტაკო და ნორიტომო მასაკო, რომელმაც დაწერა წიგნი „ძიუდო ქალებისათვის“.

ქალების ჭიდაობა კანოს მოქნილობითა და პლასტიკით ხიბლავდა ის თვლიდა, რომ ქალურობა უფრო შეე-

ძიუდოს განვითარების ისტორია
საბამებოდა ძიუდოს შინაარსს.

1931 წლიდან ქალები კოდოკანში ჩარიცხვის წინ ხელს აწერდნენ ფიცს (მამაკაცები სისხლით).

ქალების პირველი ოფიციალური მწვრთნელი იყო ნოროტიმო მასაკო. ქალთა ძიუდოს განვითარებისათვის რამდენიმე ქალს მინიჭებული ჰქონდა საპატიო დანები. მათ შორის: ძ. კანოს პირველ მოწაფეებს მიიბაგავე ხისაკოს, ოკადა სინკოს და ტასუდე ისოკოს, აგრეთვე მის ქალიშვილებს ვატანუკი ნორიკოს და ტაკაძაკი აცუკოს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქალბატონი და მიესი უნანო იყვნენ ქალთა ძიუდოს ფუძემდებლები.

1973 წელს ჩატარდა ევროპის პირველი საერთაშორისო ტურნირი ქალთა ძიუდოში, რის შემდეგ 1975 წელს მოეწყო ევროპის პირველი ჩემპიონატი.

1980 წელს ნიუ-იორკში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონტი ქალთა შორის. ჩემპიონატში 27 ქვეყნის 149 სუსტი სქესის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამ შეჯიბრის წარმატებულ ორგანიზაციასა და წარმატებაში დიდი როლი მიუძღვის ამერიკელ ქალბატონს რასტი კამოკოგოს, რომელიც იყო გათხოვილი იაპონელ ძიუდოისტზე და ქალთა ძიუდოს აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა. ამის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონტები ქალთა შორის ორ წელიწადში ერთხელ ლუწო წლებში ტარდებოდა.

1987 წლიდან მსოფლიო ჩემპიონატები მამაკაცებსა და ქალებს შორის ერთსა და იმავე ვადებში იმართება.

ამავე დროს საბჭოთა კავშირში სულ უფრო ვითარდუ-

ბა მამაკაცთა ძიუდო. 1975 წელს ძიუდო პირველად იქნა შეტანილი სსრკ ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამაში. ფინალურ შეხვედრებს კიშინიოვში, წინ უსწრებდა I საკავშირო სპორტული ახალგაზრდული თამაშები, რომელიც 1974 წელს გაიმართა გორკში. ამ შეჯიბრში თემურ ხუბულურმა II ადგილი დაიკავა.

1973-1976 წლების ოლიმპიური ციკლი დაიწყო ევროპის ჩემპიონატით მადრიდში, გუნდი კვლავ ჩემპიონი გახდა. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ შ. ფიცხელაური და გ. გოგოლაური. ამ წლიდან ოლიმპიური ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი გადავიდა მძიმე წონაში და შ. ფიცხელაურთან ერთად მოიპოვა ვერცხლის მედალი, გ. გოგოლაურმა, ა. მუზაევმა და ჯ. ნიჟარაძემ – ბრინჯაოსი. ლოზანას მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეხეს ჯ. ნიჟარაძემ, რომელმაც დაიკავა მეორე ადგილი და შ. ფიცხელაურმა – მესამე.

1974 წელს ლონდონში ევროპის ჩემპიონატზე კარგად იასპარეხა გივი ონაშვილმა, რომელმაც ხუთივე შეხვედრა იპონით მოიგო, ის იბრძოდა თანაბრად კარგად, როგორც დგომში ასე ჩოგბჯენში. ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები ჩოკბჯენში მოიგო. შ. ჩოჩიშვილი იყო მეორე, ხოლო შ. ფიცხელაური – მესამე. ამირან მუზაევი გუნდურ ჩემპიონატში ტატამზე ოთხჯერ გავიდა და ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა. ორი შეჭიდი მოიგო იპონით, მათ შორის წინა წლის ევროპის ჩემპიონთან ჟ. რუჟესთან (საფრანგეთი).

ძიუდოს განვითარების ისტორია

ფინალში ჩვენი გუნდი მასპინძლებს დაუპირისპირდა. ამირანმა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ფინალისტს მოუგო და გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონობა იხეიმა.

წარმატებული იყო ჩვენი ძიუდოისტებისათვის 1975 წლის ევროპის ჩემპიონატი ლიონში. გუნდი სედიზედ მეოთხედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ შ. ფიცხელაური, ა. მუსაევი და შ. ჩოჩიშვილი. პირად შეჯიბრში ევროპის ჩემპიონები გახდნენ ჯ. ნიჟარაძე და გ. ონაშვილი, ევროცხლი მოიპოვეს შ. ფიცხელაურმა, ა. ბარკალაევმა და შ. ჩოჩიშვილმა, რ. ხარშილაძე დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით.

მსოფლიო ჩემპიონატზე ვენაში, ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა რუსეთის წარმომადგენელმა ვ. ნეფ-ზოროვმა. რ. ხარშილაძე და შ. ჩოჩიშვილი ბრინჯაოს დასჯერდნენ, მაშინ შ. ჩოჩიშვილი მსაჯების შეცდომის მსხვერპლი – გახდა, რადგან მას ფინალში უნდა ეჭიდავა.

ოლიმპიურ წელს ევროპის ჩემპიონატი კიევში ჩატარდა, სადაც ჩვენმა ფალანგებმა იჭიდავეს სამი ფინალი და მხოლოდ თემურ ხუბულური გახდა ევროპის ჩემპიონი. ო. ზურაბიანი და გ. ონაშვილი მეორე ადგილს დასჯერდნენ.

გუნდურ შეჯიბრში ნაკრებმა წააგო ფინალი ფრანგებთან და ევროცხლის მედლებით შ. ჩოჩიშვილი და რ. ხარშილაძე დაჯილდოვდნენ.

მონრეალის ოლიმპიადაზე რ. ხარშილაძემ დაძაბულ ბრძოლაში დათმო შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან აბსოლუტურ წონაში კ. ნინომიასთან და ვერცხლის პრიზიორი გახდა, შ. ჩოჩიშვილმა მსაჯების გადაწყვეტილებით (ხანტეი) წააგო ხ. უემურასთან და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. მთლიანობაში გუნდმა— ექვსი მედლიდან ორი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა. უმედლოდ დარჩა შეჯიბრების დებიუტანტი ო. ზურაბიანი. ეს იყო დიდი წარმატება, მიუნხენის ოლიმპიადაზე გამარჯვებით გამოსვლის შემდეგ და მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მომზადების მიზნით, რომელიც ამერიკის კონტინენტზე ტარდებოდა საკავშირო სპორტკომიტეტმა მთავრობის დახმარებით ბევრი რამ გააკეთა მონრეალში წარმატებული გამოსვლის სანაცვლოდ.

ერთ-ერთი ღონისძიება ის იყო, რომ მონრეალში საბჭოთა დელეგაციის საცხოვრებელთან გახსნეს სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც სტარტის წინ ერთი დღით ადრე ათავსებდნენ სპორტსმენებს. ეს პროცედურა არ გაუელია ო. ზურაბიანს და შ. ჩოჩიაშვილს, იმიტომ, რომ ეს ცენტრი დახურეს წინა დღეს (ოლიმპიადა მთავრდებოდა), ასე, რომ შოთა ჩოჩიშვილს მოუწია შეჯიბრზე გასვლა სარეაბილიტაციო პროცედურების გავლის გარეშე, რამაც უარყოფითად იმოქმედა მის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ფუნქციაზე, საერთო მდგომარეობაზე და არა ის, რომ შოთა ჩოჩიშვილი არ იყო მომზადებული ოლიმპიადის-

ძიულოს განვითარების ისტორია

ათვის. ასეთი აზრი შეექმნათ სპორტკომიტეტის ზოგიერთ ხელმძღვანელს და მწერთნელს, მათ ეგონათ, თუ აბოლუტურ წონაშიც დააყენებდა მწერთნელთა საბჭო სნოვიკოვს ის მოიგებდა მეორე ოქროს მედალს და გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა გუნდი გაუსწრებდა იაპონელებს, რაც მანამდე არ მომხდარა. ასეა თუ ისე ანდრეევი გუნდის არასწორად დაკომპლექტებისათვის თანამდებობიდან მეორედ გაანთავისუფლეს.

1977-1980წ.წ. ოლიმპიური ციკლის პირველი ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა ლიუდვიგსჰაფენში. გუნდურ შეჯიბრებაში ა. ობგაიძემ, დ. ხაბულიანმა, თ. ხუბულურმა და ჯ. ნიჟარაძემ მოიპოვეს ოქროს მედლები, ხოლო პირად შეჯიბრში ჯ. ნიჟარაძე და შ. ჩოჩიშვილი გახდნენ ვერცხლის პრიზიორები.

1977 წელს ესპანეთში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატი არ შედგა და ამის მიზეზად მაშინ პოლიტიკური მოტივი დაასახელეს. 1978 წელს ჰელსინკში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ჯ. ნიჟარაძემ მოიპოვა.

1979 წელს, პარიზში, ჩვენმა ძიუდოისტებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვეს ორი მედალი. პირველად მსოფლიო ჩემპიონი გახდა საქართველოს წარმომადგენელი თ. ხუბულური, თ. ნამგალაური გახდა ბრინჯაოს მედალოსანი. ამ შეჯიბრს უსწრებდა ევროპის ჩემპიონატი ბრიუსელში. ევროპის ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა

თ. ხუბულურმა. ოთხი წლის შემდეგ შთა ჩოჩიშვილის მსგავსად მსაჯების მსხვერპლი შ. ხაბარელი გახდა. ფინალური შეხვედრა მან გერმანულ ჰეინკესთან მუდმივ იერიშში ჩაატარა, მაგრამ რატომღაც ორივე ძიუდოისტს აფრთხილებდნენ და საბოლოოდ მსაჯების გადაწყვეტილებით გამარჯვება გერმანელს მიაკუთვნეს.

ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, რომელიც იტალიაში ჩატარდა, შ. ხაბარელი და თ. ნამგალაური ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

1980 წელს ევროპის პირად და გუნდურ ჩემპიონატებზე რ. ხარშილაძემ და შ. ხაბარელმა მოიპოვეს თითო მედალი. რ. ხარშილაძემ ბრინჯაო, ხოლო შ. ხაბარელმა ვერცხლი.

იმავე წელს მოსკოვში ჩატარდა XXII ოლიმპიური თამაშები, რომელიც მთელს ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ არ გამოგზავნა გუნდები, ძიუდოისტთა ტურნირზე 42 ქვეყნის 187 სპორტსმენი მონაწილეობდა.

მოსკოვის ოლიმპიადაზე მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა გათამაშდა – 8 (1988 წლიდან დღემდე ოლიმპიურ პროგრამაში თამაშდება მედლების 7 კომპლექტი, მსოფლიო ჩემპიონატებზე კი – 8).

მოსკოვის ოლიმპიადაზე შოთა ხაბარელმა დამაჯერებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა და გახდა ოლიმპიური ჩემპიონი (ქართულ ძიუდოში მეორე ოლიმპიური ჩემპიონი).

ძიუდოს განვითარების ისტორია

ნი). სამწუხაროდ თ. ხუბულურმა ფინალური ორთაბრძოლა დათმო თავის მუდმივ მეტოქესთან (ვისთანაც არასოდეს წაუგია) რობერტ ვან დერ ვალესთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა. დასაანანია ის, რომ ოლიმპიადამდე და მის შემდეგ თ. ხუბულური მუდმივად უგებდა რ.ვ. ვალეს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 83-ე სესიაზე, რომელიც მოსკოვის ოლიმპიადის დროს ჩატარდა, რეკომენდირებული იყო შეესწავლათ საკითხი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ქალთა ძიუდოს შეტანის შესახებ.

1981 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს მედლების სრული კომპლექტი: დ. ბოდაველმა – ოქრო, თ. ხუბულურმა – ვერცხლი, შ. ხაბარელმა – ბრინჯაო.

მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ჩატარდა მაასტრიხტში, თემურ ხუბულური მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, დავით ბოდაველმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

1982 წელს შ. ხაბარელმა და დ. ბოდაველმა ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს, შ. ხაბარელმა ორი ვერცხლი პირად და გუნდურ ჩემპიონატში, ხოლო დ. ბოდაველმა ვერცხლის მედალი გუნდურ შეჯიბრში.

1983 წელი შოთა ხაბარელისათვის იყო ბრინჯაო. მან მოიგო სამი ბრინჯაოს მედალი: ევროპის ჩემპიონატზე, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე და მსოფლიო ჩემპიონატზე

თ. ნამგალაურთან ერთად იმარჯვა.

ვისაც უნახავს შ. ხაბარელის ჭიდაობა, იცის, რომ მას ახასიათებდა ყველა შეჭიდში მუდმივი პრესინგი, და სწორედ ამ მსოფლიო ჩემპიონატზე, რამდენიმე დღით ადრე შოთა ავად გახდა და მოუწია წონის დაკლება ლოგინში, ფიზიკური დატვირთვის გარეშე. მოკლედ, მას გამოეცალა მისი მთავარი იარაღი – მუდმივი შეტევა გადაეღებასთან ერთად.

1984 წელს საბჭოთა ნაკრებმა არ მიიღო მონაწილეობა ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში და ჩვენი ძიუდოსტები მხოლოდ პირად და გუნდურ ევროპის ჩემპიონატებში გამოვიდნენ, მაშინ თ. ნამგალაურმა ევროპის ჩემპიონის წოდება ხოლო ბ. გოგიჩაიშვილმა ვერცხლი – გუნდურ ჩემპიონატში მოიპოვა.

ლოს ანჯელესის ოლიმპიადის შემდეგ 1985 წელს ძიუდოს გენიოსად და ყველა დროის საუკეთესო ძიუდოსტად აღიარებულმა იასუცირო იამასიტამ სპორტული კარიერა დაასრულა, ოლიმპიური ჩემპიონი და 4-გზის მსოფლიო ჩემპიონი მსოფლიოში საუკეთესო შედეგი იყო.

იამასიტას სპორტულ კარიერაში ჰქონდა ბევრი ხელის შემშლელი პირობები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას შეეძლო სპორტული შედეგებით ძიუდოში აბსოლუტური რეკორდი დაემყარებინა.

წარმოდგინეთ, რომ ი. იამასიტას 1977 წელს ოცი წლის ასაკში უნდა მიეღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში ესპანეთში, რომელიც პირველად ჩაიშალა პოლი-

ძიუდოს განვითარების ისტორია

ტიკური მოტივით. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში პარიზში, მან პირველად მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ფინალში დაამარცხა მასპინძელი, მსოფლიო ჩემპიონი ე. რუჟე.

მოსკოვის ოლიმპიადისათვის მზადებისას ი. იამასიტამ ვარჯიშის დროს მოიტეხა მარცხენა კოჭის ძვალი. ამას საბჭოთა ჯარის ავღანეთში შეყვანის სანაცვლოდ მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტი გამოიწვია.

1981 წელს იაპონელებმა პირველად გაიყვანეს მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი ძიუდოსტი მძიმე და აბსოლუტურ წონებში. ეს იყო ი. იამასიტა, რომელმაც მოიგო ორივე ტურნირი და გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ორივე წონაში. ეს იყო პირველი შემთხვევა მსოფლიო ჩემპიონატებზე. მძიმე წონაში მან ხუთივე შეხვედრა მოიგო იპონით 9 წუთში და 4 წამში. აბსოლიტურ წონაშიც ხუთი შეხვედრა იპონით მოიგო, ერთ მსოფლიო ჩემპიონატში ათი იპონი!

ამ შედეგმა გაიყვანა ის მეორე ადგილზე. ლიდერი იმ დროს იყო ს. ფუძი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ოთხჯერ ჰქონდა მოპოვებული.

1984 წელს ლოს ანჯელესში ი. იამასიტას აუსრულდა ბავშვობის ოცნება – მძიმე ბრძოლაში ის გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ოლიმპიური ოქროს ბედი მეორე წრეში დადგა ეჭვის ქვეშ. გერმანელ ა. შნაბელთან შერკინებისას მას გაუწყდა კუნთი, მაგრამ შეძლო მოეგო ეს შეხვედრა. შემდგომ ორ შეხვედრაში ი. იამასიტამ გღე-

ბებით გადაიყვანა ბრძოლა ნოქბჯენში და იქ გადააბრუნა თავისი მოწინააღმდეგეები „საფირმო“ შებოჭვაზე.

1985 წელს იაპონიის ჩემპიონატზე ი. იამასიტამ მოუგო ფინალში ორგზის მსოფლიო ჩემპიონს ხ. საიტოს და გახდა ცხრაგზის აბსოლუტური ჩემპიონი. იაპონიაში ეს ტიტული ყველზე საპატიოდ ითვლება.

ი. იამასიტამ სპორტული კარიერის განმავლობაში 16-ჯერ წააგო.

1977 წლის ოქტომბრიდან ი. იამასიტამ 203 ორთაბრძოლა მოიგო და არც ერთი არ წაუგია.

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ გუნდური ჩემპიონატი 1985 წელს მოიგეს ფ. მარგიანმა, თ. ნამგალაურმა და შ. ხაბარელმა, ხოლო თ. ნამგალაურმა პირადი შეჯიბრებაც მოიგო.

1986 წელს ჩვენმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს მხოლოდ ერთი მედალი. ავსტრიაში პირველად ჩატარდა წონითი კატეგორიების მიხედვით, მსოფლიო თასის პირადი გათამაშება. 71კგ. წონით კატეგორიაში გიორგი თენაძემ კორეის ძიუდოისტთან დათმო შეხვედრა და გახდა ევრცხლის მედლის მფლობელი. ბელორუსმა მოჭიდავემ ვ. პესნიაკმა 86კგ. წონით კატეგორიაში ფინალში დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრიელი პ. ზაიზენბახერი და მსოფლიო თასი მოიპოვა.

ამის შემდეგ საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მსოფლიო პირადი თასის მაგივრად ოთხ წელიწადში ერთხელ მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი ჩაე-

ტარებინა.

1994 წელს შედგა პირველი მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი პარიზში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს გერმანიის ნაკრები. ბრინჯაოს მედლით იაპონიისა და რუსეთის ნაკრებები დაჯილდოვდნენ. შემდეგი გუნდური ჩემპიონატი მინსკში 1998 წელს ჩატარდა.

1987 წელს პარიზში ევროპის ჩემპიონატზე კობა კურტანიძემ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება, ხოლო კიბორძალიძემ ბრინჯაოს მედალი.

ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, რომელიც შემოდგომაზე პარიზში ჩატარდა, გ. თენაძე გუნდის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა.

სეულის ოლიმპიადის წელს ევროპის ჩემპიონატზე პამპლონაში, ჩემპიონის წოდება მოიპოვა ამირან ტოტიკაშვილმა, აკაკი კიბორძალიძემ გააუმჯობესა წინა წლის შედეგი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ ა. ტოტიკაშვილი და გ. თენაძე. კ. კურტანიძემ ტრაგემის გამო მონაწილეობა სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ვერ მიიღო.

წარმატებული იყო ჩვენი ძიუდოისტებისათვის ბარსელონას ოლიმპიური ციკლის პირველი წელი. ჯერ 1989 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰელსინკში, ამირან ტოტიკაშვილმა და კობა კურტანიძემ მეორედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები, აკაკი კიბორძალი-

იძე გახდა ვერცხლის პრიზიორი, ხოლო გიორგი თენაძე ბრინჯაოსი. განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოდგა ქართველი ძიუდოისტებისათვის 1989 წლის ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირის ნაკრების რვა მონაწილედან ოთხი ქართველი ფალაევანი იყო და ოთხივე შინ მედლით დაბრუნდა: მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ამირან ტოტიკაშვილი და კობა კურტანიძე, აკაკი კობორძალიძემ დაიკავა მეორე ადგილი, გიორგი თენაძემ – მესამე. ქართველ მოჭიდავეთა მიერ მოპოვებულმა ქულებმა განაპირობა საბჭოთა კავშირის გამარჯვება გუნდურ ჩათვლაში. ამ შეჯიბრის შემდეგ შოთა ხაბარელს „საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიენიჭა.

ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული მედლების სინჯი ჩვენმა ფალაევებმა მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმეორეს. წლის ბოლოს ვენაში გამართულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე დ. ხახალეიშვილი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ძიუდოში ქალთა შორის ჩატარდა 1989 წელს. ამ შეჯიბრში გაიმარჯვა ჩვენმა თანამემამულემ თია დონდუზაშვილმა, რომელმაც რუსეთის სახელით იასპარეზა.

1990 წლის ევროპის ჩემპიონატზე გერმანიაში, ა. ტოტიკაშვილი, კ. კურტანიძე და დ. ხახალეიშვილი გახდნენ ბრინჯაოს მედალოსნები, გუნდურ ჩემპიონატზე ვ. დაბრუნდაშვილი გახდა ევროპის ჩემპიონი.

ძიუდოს განვითარების ისტორია

სეულის ოლიმპიადის მსვლელობის დროს საერთა-შორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1992 წლის თამაშების სავალდებულო პროგრამაში ქალთა ძიუდოს შეტანის შესახებ.

XXV ოლიმპიადაზე ბარსელონაში, საბჭოთა კავშირის მაგიერად მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის გაერთიანებულმა გუნდმა, სადაც გამარჯვებულების პატივსაცემად იკვებოდა ქვეყნის ჰიმნი და აღიმართებოდა ეროვნული დროშა.

ქუთაისელმა დავით ხახალაიშვილმა ბრწყინვალედ ჩაატარა ოლიმპიური ტურნირი და ღირსეულად მოიპოვა ოლიმპიადის ოქრო.

ძიუდოს განვითარება საქართველოში

საბჭოთა კავშირში ძიუდოს განვითარების პირველივე წლებიდან ქართველი ფალანგები სსრკ ნაკრები გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ. ჯერ კიდევ 1975 წელს საქართველოში ძიუდოს 45 სექცია იყო, რომლებიც 1145 სპორტსმენს აერთიანებდა. ეს ციფრები მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ წლების მონაცემებს, მაგრამ ისინი მაინც რსფსრ-სა (8305 სპორტსმენი) და უკრაინის (3399 სპორტსმენი) შემდეგ საქართველოს მესამე ადგილზე აღიარებდნენ.

ეს ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებისა, ძიუდო თავისი ხასიათით და სოციურთი ტექნიკური ილეთით ქართულ ჭიდაობასთან ძალიან ახლოს არის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1957 და 1960 წლებში შედგა პირველი ამხანაგური შეხვედრები უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძიუდოისტთა ნაკრებ გუნდებთან და საბჭოთა სპორტსმენების დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა სამბისტებმა. 1957 წ. უნგრეთში, გუნდის შემადგენლობაში იასპარეზეს და გამარჯვება მოიპოვეს გ. სიმონიშვილმა 64კგ., ბ. მაზიაშვილმა 72კგ. შ. დაუშვილმა 85კგ. და ო. შინჯიკაშვილმა +85კგ. 1960წ. სსრკ-ს სამბისტებმა მოიპოვეს გამარჯვება გერმანელ ძიუდოისტებზე და აქაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა სამბისტებმა – ა. კიკნაძემ, დ. ბერუაშვილმა და ო. შინჯიკაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამბისტები არ იცნობდნენ ძიუდოს, მათი გამარჯვება ამ სახეობაში აშკარა იყო. ამ გარემოებამ განაპირობა წინასწარი მომზადების გარეშე მათი წარმატებული გამოსვლა 1962 წლის ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში, სადაც შეგახსენებთ, ჩემპიონები გახდნენ ა. ქიბროწაშვილი და ა. კიკნაძე.

ქართველი სამბისტების წარმატებით გამოსვლამ 1957 და 1960 წლების საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებ-

ძიუდოს განვითარების ისტორია

ში და 1962 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ბიძგი მისცა ჩვენს მწვრთნელებს და სპორტსმენებს დაეწყო ჩვენს რესპუბლიკაში ამ სახეობისა კულტივირება. ეს პროცესი მოედო მთელ საქართველოს: გორში ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა გურამ პაპიტაშვილი, თბილისში – ძმები ქრისტეფორე და ნიკოლოზ ნინიაშვილები, ბიძინა მაზიაშვილი, მოგვიანებით ქუთაისში – ომარ მერაბიშვილი, მან ბევრი გააკთა ძიუდოს განვითარებისათვის იმერეთში ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხოვლეელი ახალგაზრდა იყო განაწილებული ქუთაისში, სადაც ძიუდოს დანერგვა დაიწყო, იქ ომარ მერებაშვილმა აღზარდა ორი ოლიმპიური ჩემპიონი (დ. ხახალაიშვილი და ი. ცირეკიძე და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი აკაკი კობორძელიძე) რუსთავეში – დავით ჩაჩანიძე, დუშეთში – ოთარ (ჯემალ) ნათელაშვილი, მარტყოფში – გივი კახაბრიშვილი, ყვარელში რობერტ ლომთაძე, თელავში – გივი დალაქიშვილი, საგარეჯოში ბიჭიკო – მარიდაშვილი, ზესტაფონში – ჯონი ჯამიაშვილი, ახალგორში ხაჩოროვი, თიანეთში სპარტაკ ბლარაშვილი და თემურ წამალაშვილი, მცხეთაში ჰამლეტ ტატიშვილი და ვახტანგ ჩანადირი, მესტიაში – რობინზონ ჯაფარიძე და გაიოზ ჩართოლანი, ახმეტაში – გუგული აბრამიშვილი.

საქართველოში ძიუდოს განვითარების პირველი ნაბიჯები ბევრად იყო დამოკიდებული გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ძიუდოს სექციისა და მისი დამ-

აარსებლის გურამ პაპიტაშვილის სახელთან.

გ. პაპიტაშვილმა აღზარდა პირველი ევროპის ჩემპიონი ა. ქიბროწაშვილი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი შ. ჩონიშვილი, პირველი მსოფლიო ჩემპიონი თ. ხუბულური. გარდა ამისა, ევროპის 1968 წლის ჩემპიონი რ. მაღალთაძე, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი დ. ბერუაშვილი და სხვები.

გორში ძიუდოს განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გივი ზაუტაშვილს.

გორელ მოჭიდავეთა პირველივე გამოსვლებმა უცხოური პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მაგალითად, ინგლისური პრესა ევროპის ჩემპიონატზე ა. ქიბროწაშვილის გამოსვლას შემდეგ კომენტარს უკეთებდა.

“მეინარდმა ძალზე მძიმე ორთაბრძოლა გადაიტანა. ქიბროწაშვილზე ძლიერ მეტოქეს მეინარდი ალბათ არასოდეს შეხვედრია. ქიბროწაშვილი ჩოქბჯენშიც ისეთივე აგრესიული იყო, როგორც დგომში“. საფრანგეთისა და ინგლისის გაზეთები საგანგებოდ აღნიშნავენ დ. ბერუაშვილის ფიზიკურ მონაცემებს: „ნორისმა მხოლოდ გაძლება შეძლო მრისხანე ბერუაშვილის წინააღმდეგ“ – იუწყებოდა პრესა, „მძლავრი სხეული თითქოს მზად იყო ყოველგვარი მრისხანე იღუბების ჩასატარებლად. როდესაც ბერუაშვილი კისრულის ჩატარებას იწყებდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მას ხის ამოგლეჯა თავის ფესვებიანად შეეძლო“ და შემდეგ „ჰოლანდიაში ძლივსაძლიერობით მოუგო საბჭოთა კავშირს თავისი

ძიუდოს განვითარების ისტორია

სუპერმენის ა. გეესინკის წყალობით, რომელმაც შეძლო ილეთის ჩატარება ბერუაშვილის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი საერთოდ ბევრით არ ჩამოუვარდებოდა მეტოქეს“, წერდა ინგლისური პრესა (ციტირებულია ა. კულეშოვის მიხედვით, 1963).

მომდევნო წლებში მწვრთნელების ქ. ნინიაშვილის, ა. ნინიაშვილის, გ. პაპიტაშვილის, ბ. მაზიაშვილის, ო. ნათელაშვილის, ო. მერაბიშვილის, გ. საუტაშვილის, ფ. მარტყოფლიშვილის, დ. ხაბულიანის, შ. ხაბარელის, ა. ქიბროწაშვილის, ს. ფეიქრიშვილის, ტ. შათირიშვილის, დ. არქანიას, გ. მოდებაძისა და სხვათა დიდი შემოქმედებითი და პრაქტიკული შრომის შედეგად ტატამზე გამოვიდა გამოჩენილი ქართველი ოსტატების მთელი თანავარსკვლავედი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით იცავდა რესპუბლიკის სახელს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ესენი იყვნენ – ა. კიკნაძე, ა. ქიბროწაშვილი, ფ. ჩიქვილაძე, შ. ჩოჩიშვილი, თ. ხუბულური, გ. ონაშვილი, რ. ხარშილაძე, გ. გოგოლაური, ჯ. ნიჟარაძე, შ. ფიცხელაური, შ. ხაბარელი, დ. ბოდაველი, ფ. მარტყოფლიშვილი, ა. მუზავეი, კ. კურტანიძე, ა. ტოტიკაშვილი, გ. თენაძე, ა. კიბორძალიძე, ვ. დგებუაძე, დ. ხახალეიშვილი, გ. ვაზაგაშვილი, გ. რევაზიშვილი, ზ. ზვიადაური, ნ. ხერგიანი, ზ. კედელაშვილი, ი. ცირეკიძე და სხვები.

პირველ წლებში ყოფილი სსრკ ნაკრების წარმატებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ძიუდოს შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ სამბისტები, რომლებიც

კარგად ფლობდნენ სამბოს ტექნიკურ არსენალს. აქ აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამბოს ტექნიკა დგომში შეიცავს ბევრ ილეთს ქართული ჭიდაობიდან. რაც შეეხება ტექნიკას ჩოქბჯენში, აქ უპირატესობა ჰქონდათ უცხოელ მოჭიდავეებთან რუსებს, უკრაინელებს, მოლდაველებს, ლიტველებს და ლატვიელებს, რომლებიც კარგად ფლობდნენ ტექნიკას ჩოქბჯენში. გამონაკლისს შეადგენდნენ ო. სტეპანოვი და ა. ბოგოლიუბოვი - მრავალგზის საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონები, ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსნები, რომლებიც თანაბრად ძლიერები იყვნენ როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ძიუდოსისტთა წარმატებაში დიდი როლი შეასრულა ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს ტექნიკის სინთეზმა. ეს იაპონელებმაც აღიარეს. მათ დაიწყეს ქართული ჭიდაობის ანბანის შესწავლა. ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბ. მაზიაშვილი მიწვეული იყო იაპონიაში და იქ ჩაატარა სასწავლო მეცადინეობები ქართულ ჭიდაობაში. ამრიგად, ყოფილი მოსწავლეები თვითონ გახდნენ ძიუდოს დამაარსებელთა მასწავლებლები. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, 1973 წლიდან ტარდებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები, 1974 წლიდან დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება. ლუწო წლებში თასი თამაშდებოდა რესპუბლიკებს შორის, ხოლო კენტ წლებში – საზოგადოებებსა და უწყებებს შორის, ხოლო 1975 წელს

ძიუდოს განვითარების ისტორია

ძიუდო შეტანილი იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკიადის პროგრამაში.

1973 წელს კიევში ჩატარდა პირველი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ჩვენმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს 10 მედალი, მათ შორის 2 ოქროს (შ.ფიცხელაური, გ.ონაშვილი), 2 ვერცხლისა (რ.ხარშილაძე, ა.მუზაევი) და 6 ბრინჯაოსი (კ.შაბურიშვილი, გ. გოგოლაური, ა. ბარკალაევი, გ.ბაღაშვილი, ჯ.ნიჟარაძე-ორი ბრინჯაო).

1973-1992 წწ. ჩატარდა საბჭოთა კავშირის 19 ჩემპიონატი და ერთი დსთ-ს ჩემპიონატი (დანართი 1).

პირველ სამ ჩემპიონატში ჩვენმა ფალანგებმა მოიპოვეს 28 მედალი, აქედან 6 ოქრო. ბოლო სამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე 1989-1991წწ. ასევე მოპოვებული იყო 28 მედალი, მხოლოდ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოპოვებული მედლების ხარისხი. თუ პირველ სამ ჩემპიონატში მოპოვებული იყო 6 ოქროს მედალი, 1989-1991წწ თითქმის ორჯერ მეტი! აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში გუნდს სათავეში ჩაუდგა ოლიმპიური ჩემპიონი შ.ხაბარელი, რომელმაც დაამთავრა აქტიური სპორტული კარიერა და ისეთივე შემართებით, რაც ახასიათებდა მას სპორტში მოღვაწეობის დროს, შეუდგა მუშაობას, როგორც ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მოკლე მიმოხილვის დასასრულს აუცილებელია ღინიშნოს, რომ ყველზე

მეტი წარმატებები ამ შეჯიბრებებში ჰქონდათ ჩვენს თანამემამულეებს კობა კურტანიძეს და რამაზ ხარშილაძეს, რომლებმაც მოიპოვეს ჯამში 12 ოქროს მედალი, აქედან კობა კურტანიძე იყო 7-გზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

1974 წელს ყარაგანდაში პირველად ჩატარდა თასის გათამაშება რესპუბლიკებს შორის. ჩვენს გუნდს წარმოადგენდნენ ს. ფიცხელაური (63კგ.), ახესალომ წიკლაური (70კგ.), გ. გოგოლაური (80კგ.), რ. ხარშილაძე (93კგ.), და მძიმე წონაში გ. ონაშვილი.

ყარაგანდაში ჩასვლისას ყველა სპეციალისტი და სპორტსმენი წინასწარმეტყველებდა, რომ საქართველო მოიგებდა თასს. მაგრამ წინასწარმეტყველებამ არ გაამართლა. ფინალური შესხედრის წინ გუნდის განწყობაში დაშეებულმა შეცდომებმა მარცხამდე მიგვიყვანა.

1975 წელს თბილისში ჩატარა სემინარი ძიუდოს ცნობილმა იაპონელმა სპეციალისტმა ხამანომ (76 წლის ასაკში). ვარჯიში ტარდებოდა „ფალავანთა კლუბის“ ძიუდოს დარბაზში რომელიც განთავსებული იყო მესამე სართულზე. დარბაზის ზომები იყო 192 მ2 და ჭერის სიმაღლე 2,8მ. რასაკვირველია, ხამანო ნანახით გაოგნებული იყო. ეს გაოგნება გასაგებია, როცა ნახავთ ტოკიოში 7-სართულიან „კოდოკანის“ ინსტიტუტს, რომელიც აშენდა 1958 წელს. აქ განთავსებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი საჭიდაო დარბაზი, 5 საშუალო და პატარა დარბაზი, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და სხვა

ძიუდოს განვითარების ისტორია დამხმარე ოფისები.

1974 წელს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს სოფლის სამეურნეო ტექნიკის სამმართველოს თავმჯდომარე, ბატონი დავით ევზრემის ძე სარიშვილი, ძიუდოს დიდი ქომაგი და ხელშემწყობი. მისი პირველივე ნაბიჯი ემსახურებოდა საქართველოში ძიუდოსათვის შესაფერისი პირობების შექმნას. იმ დროს ამ იდეისათვის ფრთების შესხმა ადვილი არ იყო, მაგრამ ბატონმა დავით სარიშვილმა ეს შეძლო. აშენდა თანამედროვე სპეციალიზირებული ძიუდოს დარბაზი. მან დიდად შეუწყო ხელი ქართული ძიუდოს შემდგომ განვითარებას. მას შემდეგ 35 წელი გავიდა, მაგრამ ძიუდოისტებს, მწვრთნელებსა და მათ ქომაგებს კვლავ ახსოვთ ბატონი დავითის ამაგი და მისი მაღლიერნი არიან.

1976 წელს საქართველოს გუნდი საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი გახდა. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: ა. ობგაიძე, ო. ზურაბიანი, დ. კოდანოვი, ბ. გუგავა, აბესალომ წიკლაური, გ. გოგოლაური, ბ. გოგიჩაიშვილი, ნ. ნუგზარაშვილი, ჯ. ნიუარაძე. ამის შემდეგ სხვადასხვა წლებში საბჭოთა თასის მფლობელები იყვნენ აბ. წიკლაური, ა. მუზაევი, ბ. მოხევიშვილი, ი. დემეტრაშვილი და სხვები.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები ტარდებოდა 1956 წლიდან. სპარტაკიადები იწყებოდა ფიზკულტურის კოლექტივებში, შემდეგ რაიონებში, ქალაქებში, და

მთავრდებოდა ფინალური შეჯიბრებით, რომელსაც ეწოდებოდა ხალხთა სპარტაკიადა. ამ რანგის შეჯიბრებებმა დიდი როლი ითამაშეს მოკავშირე რესპუბლიკებში, ამჟამად დამოუკიდებელ ქვეყნებში სპორტის სხვადასხვა სახეობების, კერძოდ ძიუდოს, განვითარების საქმეში.

ძიუდო შეტანილი იყო სპარტაკიადის პროგრამაში 1975 წელს (VI სპარტაკიადა). VII სპარტაკიადაში (1979წ.) უცხოელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ამ შეჯიბრის პარალელურად ჩატარდა ტურნირი სპორტკომიტეტის პრიზზე. ამ ტურნირის მიზანი იყო, რომ ამ ორი შეჯიბრის შედეგად გამოეკვლინა საბჭოთა კავშირის უძლიერესი ოთხეული, რომელთაც მოუწევდათ მომზადება და მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში. თუ პარალელური შეჯიბრის გამარჯვებული უცხოელი სპორტსმენი ხდებოდა, მაშინ ის სპარტაკიადის გამარჯვებულს ხედებოდა და მათ შორის გამარჯვებულს ენიჭებოდა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება. თუ პარალელური შეჯიბრის გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენი იყო, მაშინ სპარტაკიადის გამარჯვებული ცხადდებოდა სპარტაკიადის ჩემპიონად და ეს ორი გამარჯვებული არკვევდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ბედს და ჯილდოვდებოდა სსრკ ჩემპიონის ოქროს მედლით. ამ სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 69 უცხოელმა სპორტსმენმა, მათ შორის ისეთმა ცნობილმა ძიუდოს ოსტატებმა, როგორებიც იყვნენ იაპონელები. შემდგომში – 4-გზის მსოფლიო ჩემპიონი ს. ფუძი და ი. მორივაკი, ბელგიელი რობერ ვან დერ ვალე

ძიუდოს განვითარების ისტორია

ევროპის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და სხვები.

საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრები გუნდი აღნიშნულ შეჯიბრებებში სისტემატურად ღებულობდა მონაწილეობას. აქედან, მხოლოდ ერთხელ, 1979 წელს, გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ძიუდოსტები აღმოჩნდნენ საპრიზო ადგილის მიღმა. სამწუხაროდ, ჩატარებული სპარტაკიადების ისტორიაში, ამ სპარტაკიადაზე მიღებული შედეგი — VI ადგილი ჩვენთვის არასასარბიელო იყო, რ. ხარშილაძის და თ. ხუბულურის ოქროს მედლებმაც ვერ გვიშველა.

1979 წელს ხალხთა სპარტაკიადაზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ჩვენი ნაკრები მიიწვია ანზორ კიკნაძის მეგობარმა ისაო ინოკუამამ. მისი ინიციატივით ტოკიოში ჩატარდა გუნდური საერთაშორისო ტურნირი, ანზორ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი. ამ შეჯიბრში ჩვენმა ძიუდოსტებმა წარმატებით იასპარეზეს და პირველად (არაოფიციალურ შეჯიბრზე) გაუსწრეს ძიუდოს ფუძემდებლებს

დაიკავეს პირველი ადგილი. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ო. ზურაბიანი, თ. ნამგალაური, დ. კოდანოვი, შ. ხაბარელი, რ. ხარშილაძე, თ. ხუბულური და დ. ჩალაური.

საინტერესოა, რომ 1991 წელს ჩატარებულ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეათე საიუბილეო სპარტაკიადაზეც (რომელშიც ყველა სახის ჭიდაობებიდან მხოლოდ ძიუდოსტთა ნაკრებმა გუნდმა მოასწრო მონაწილეობის მიღება), ისევე როგორც 1975 წლის სპარტაკიადაზე, რუსე-

თის ფედერაციის ნაკრებ გუნდთან შეუპოვარ ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდნენ ჩვენი ძიუდოისტები.

საკმარისია გაეხსენოთ, რომ 1991 წლის სპარტაკიადის ბოლო დღეს გუნდური ჩემპიონობის ბედს წყვეტდა ამირან ტოტიკაშვილის ბრძოლა რუს ძიუდოისტთან მე-3 ადგილისათვის. ამირანს წინა შეხვედრაში მოტყდა ნეკათითი და ორთაბრძოლაში შეხვეული თითით გავიდა. ვინც ძიუდოში ვარჯიშობდა და მითუმეტეს შეჯიბრში მონაწილეობდა, იცის, რომ ჩაველების ასაღებად მთავარია შუათითის, არათითის და ნეკათითის ერთდროული მოქმედება. წარმოდგინეთ, რა გმირობა ჩაიდინა ამირან ტოტიკაშვილმა, ასეთი ტრავმით რომ იჭიდავა და გაიმარჯვა. მისმა გამარჯვებამ გუნდს პირველი ადგილი მოუტანა.

სულ, ჩატარებულ სპარტაკიადებზე, საქართველოს წარგზავნილებიდან ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს: რ. ხარშილაძემ (ორჯერ), ჯ. ნიჟარაძემ, თ. ხუბულურმა, შ. ხაბარელმა, მ. ბერუაშვილმა, თ. ნამგალაურმა, ვ. ჯაფარიძემ, ა. კობორძალიძემ, გ. მოდებაძემ, კ. კურტანიძემ (ორჯერ), დ. ხახალეიშვილმა და ა. გუბელაძემ. ვერცხლის მედლები მოიპოვეს: დ. ბოდაველმა, რ. მარგველანმა, ჯ. მჭედლიშვილმა და ვ. დგებუაძემ, ბრინჯაოს მედლები-შ. ჩოჩიშვილმა, დ. ხაბულიანმა, თ. ნამგალაურმა, ლ. ნაკანმა და ე. გოგიჩაიშვილმა. აღსანიშნავია, რომ სპარტაკიადებზე გარდა პირადი შეჯიბრებისა, ბრძოლა მიმდინარეობდა რესპუბლიკების შორის გუნდური პირველობისათვის.

ჯიბილო ნიუარაძემ 1975 წლის სპარტაკიადაზე მოიპოვა ოქროს მედალი და დაიკავა მე-5 ადგილი მძიმე წონაში, ჩვენ გუნდს მან 54 ქულა მოუტანა! ეს მნიშვნელოვნად დაეხმარა ჩვენ გუნდს პირველი ადგილისათვის ბრძოლაში.

1986 წელს პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი. აქ გაიმარჯვა ა. კიბორძალიძემ.

წარმატებით ასპარეზობდნენ საკავშირო სპარტაკიადებზე საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეები: მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა 4-ჯერ მოიპოვა პირველი ადგილი, ჭაბუკთა სპარტაკიადაზე 2-ჯერ, ახალგაზრდულ თამაშებზე 3-ჯერ. გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები 1989 წლის საკავშირო ბავშვთა სპორტული სკოლების თამაშებზეც. საინტერესოა, რომ ამ სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ნაკრებმა, მეორე-თბილისის ნაკრებმა და გაუსწრო რუსეთის ნაკრებს. პირად ჩათვლაში კი ოქროს მედლები მოიპოვეს: ა. ტოტიკაშვილმა, ვ. დგებუაძემ, დ. ბაგაურმა, დ. ხახალეიშვილმა, ვ. პარუნაშვილმა; ვერცხლი – თ. სააკაშვილმა, ზ. ონიანმა, ჯ. დაბრუნდაშვილმა; ბრინჯაო – ჯ. დაბრუნდაშვილმა, ბ. კოკოვემა, თ. კაპანაძემ, კ. ქურასბედიანმა.

წლების განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს ხელმძღვანელობდნენ ანზორ (ფირუზ) მარტოფლიშვილი, ბორის ფირცხ-

ელანი, ვასილ ლაზრიშვილი, ხვთისო წიკლაური, ჯემალ (ოთარ) ნათელაშვილი.

საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე ქართველ ძიუდოისტთა გამოსვლის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემდგომში სწორედ ამ შეჯიბრში გამარჯვებულები და პრიზიორები წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო სარბიელზე. ამგვარ ტურნირებში წარმატებით ჭიდაობდნენ ჩვენი სახელოვანი ფალაენები თ. ხუბულური, შ. ხაბარელი, ა.ტოტიკაშვილი, კ. კურტანიძე, ა. კობორძაძე, თ. ნამგალაური, ო. ზურაბიანი, ბ. გოგიჩაიშვილი, ვ.ლიპარტელიანი და სხვები. მსოფლიო ჩემპიონმა ამირან ტოტიკაშვილმა კი მოასწრო ევროპის ჩემპიონატის ორჯერ მოგება და ოლიმპიური ბრინჯაოს მოპოვება სანამ ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი გახდებოდა.

1991 წელს ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და შეუდგა ქვეყნის მშენებლობას. ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო სპორტულმა სამყარომ. სპორტსმენებს მიეცათ საშუალება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გასულიყვენ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. თუ ადრე მაქსიმუმ, რასაც აღწევდნენ ჩვენი ძიუდოისტები – იყო საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობის 50%, ახლა სპორტსმენებს მიეცათ საშუალება ეასპარეზათ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მიეღოთ მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში სრული შემადგენლობით.

1991 წელს ჩვენმა ძიუდოისტებმა არ მიიღეს მონაწი-

ძიუდოს განვითარების ისტორია
ლეობა ევროპის ჩემპიონატში, ვინაიდან შეკრებიდან შინ იყვნენ გამოძახებულნი, თუმცა დსთ-ს გუნდში მოსახვედრად მსოფლიო ჩემპიონატში მაინც მიიღეს მონაწილეობა. ვ. დგებუაძემ დაიკავა III ადგილი და დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით, დ. ხახალეიშვილმა დათმო ფინალი იაპონელ ნ. ოგაგასთან და მოიპოვა ვერცხლის მედალი. სამაგიეროდ, ბარსელონას ოლიმპიადაზე დ. ხახალეიშვილმა ფინალში სუფთა გდებით მოუგო ნ. ოგაგას და ქვეყნის ისტორიაში გახდა მესამე ოლიმპიური ჩემპიონი.

ძიუდოს ეროვნული ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 3 ივნისს. 1993 წლის მაისში ეროვნული ფედერაცია გაწევრიანდა საერთაშორისო ფედერაციაში და ძიუდოს ევროპის კავშირში. ამის შემდეგ ქართველი ძიუდოისტები დამოუკიდებლად (თავისი დროშითა და პიმნით) მონაწილეობენ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

შემდგომ, 1993-1996წწ. ოლიმპიურ ციკლში ჩვენმა ძიუდოისტებმა განიმტკიცეს წარმატება.

1993 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს სამი ოქროს მედალი (დ. ხახალეიშვილმა მძიმე და აბსოლუტურ წონაში და ვ.დგებუაძემ 71 კგ. წონით კატეგორიაში), ერთი ვერცხლის (ს.ლიპარტელიანმა). მსოფლიო ჩემპიონატისათვის ჩვენი ნაკრები გუნდი ნაწილობრივ განახლდა ახალგაზრდა ძიუდოისტებით. ერთი შეცვლა იძულებითი იყო (ს. ლიპარტელიანი დისკვალიფიცირებული იყო, მოხდა გაუგებრობა დოპინგ-კონ-

ტროლთან დაკავშირებით). ოლიმპიადის ჩემპიონმა დ. ხახალეიშვილმა მოიპოვა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. საყურადღებო იყო მისი წაგება ფინალში ფრანგ დ. დუიესთან. მათი ორთაბრძოლა იმედს ჰბადებდა სპეციალისტებში, რომ დაიწყებოდა ამ ორი ახალგაზრდის მრავალწლიანი დუელი.

1994 წლის ევროპის ჩემპიონატზე მედლები მოიპოვა კიდევ სამმა ახალგაზრდამ. ბრინჯაოს მედლები ხვდა წილად გ. ვაზაგაშვილს, ი. ჯიქურაულს და ა. დავითაშვილს.

ბირმინჰემის 1995 წლის ევროპის ჩემპიონატზე გ. ვაზაგაშვილმა და ი. ჯიქურაულმა იბრძოლეს ჩემპიონის ტიტულისთვის, მაგრამ დასჯერდნენ ვერცხლის მედლებს. მსოფლიო ჩემპიონატზე გ. ვაზაგაშვილმა, ისევე როგორც ევროპის ჩემპიონატზე, მოიპოვა ვერცხლი, ხოლო დ. ხახალეიშვილმა – ბრინჯაო.

ატლანტის ოლიმპიური თამაშებისათვის ს. ლიპარტელიანს დაუმთავრდა დისკვალიფიკაციის ვადა და მან მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადაზე. დებიუტი წარმატებული იყო – ბრინჯაოს მედალი.

ატლანტის ოლიმპიური ციკლი ფინიშს უახლოვდებოდა. ჩვენმა ფალაენებმა გააკეთეს კარგი განაცხადი: 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვეს სამი ოქროს მედალი: გ. ვაზაგაშვილმა, გ. რევაზიშვილმა და დ. ხახალეიშვილმა. გაჩნდა იმედი ატლანტის ოლიმპიადისადმი. ამასთან, 1993 წლის გაუგებრობა გადაიზარდა კიდევ

ძიუდოს განვითარების ისტორია
უფრო დიდ სკანდალში. დ. ხახალეიშვილმა ვერ გაიარა აწონვა (შეეშალათ აწონვის ადგილი).

დასანანია, რომ იმ შემთხვევის შემდეგ დ. ხახალეიშვილმა დატოვა ტატამი და ძიუდოს გულშემატკივრებს არ მიეცა საშუალება ეხილათ დაწყებული სავარაუდო მრავალწლიანი დუელი ორ ბრწყინვალე ძიუდოისტს, დავით ხახალეიშვილისა და დევიდ დუიეს შორის.

დ. ხახალეიშვილისთვის კი სანუგეშო ისდა იყო, რომ მან 1996-1997წ.წ. ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სამბოში.

დ. დუიე იმის შემდეგ, რაც გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატზე (1994წ.) აღარ მონაწილეობდა ამ რანგის შეჯიბრში. მსოფლიო ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებზე ერთი მეტოქე ჰყავდა პრაქტიკულად მხოლოდ იაპონელ შინახარა, რომელიც დ. დუიეს არ მონაწილეობის დროს 1999 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი მძიმე და აბსოლუტურ კატეგორიაში. ამავე წლებში ტატამზე ბრწყინავდა პოლონელი პ. ნასტულა, რომელიც სამჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, ორჯერ მსოფლიო და ატლანტაში – ოლიმპიური ჩემპიონი.

მე XX საუკუნის მიწურულს ევროპის ტატამზე გამოჩნდა რუსეთის წარმომადგენელი ტ. ტმენოვი (+100 კგ.), რომელმაც შეიძჯერ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ მსოფლიო და ოლიმპიადის მწვერვალს ვერ მიაღწია.

შემდეგ ოლიმპიურ ციკლში (1997-2000) ოთხი წლის

განმავლობაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე საქართველოს მედლები მოიპოვა მხოლოდ სამმა ძიუდოისტმა. 1997 წლის ევროპის ჩემპიონატზე ოსტენდში გ. რევაზიშვილი გახდა ვერცხლის პრიზიორი, ხოლო გ. ვაზაგაშვილმა მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. თან როგორ?! თუ 1996 წელს მან მოიგო ევროპის ჩემპიონატი 60კგ. წონით კატეგორიაში, 1997 წელს გიორგი ჩემპიონი 71კგ. წონით კატეგორიაში გახდა. გიორგი ვაზაგაშვილმა და გიორგი რევაზიშვილმა სამ წონით კატეგორიაში მოიპოვეს 13 მედალი. იმავე წელს მსოფლიო ჩემპიონატზე გ. რევაზიშვილი ვერცხლის მედალოსანი, გ. ვაზაგაშვილი – ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

1998 წელს ოვიედოში, სიდნეის ოლიმპიადაზე მონაწილეობის კარგი განაცხადი გააკეთა 24 წლის ნესტორ ხერგიანმა, რომელმაც კარგად გაიარა ტურნირი და პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. გ. რევაზიშვილმა ბრინჯაო აიღო.

1999 წლის ბრატისლავას ევროპის ჩემპიონატზე ნ. ხერგიანი ბრინჯაოს მედალოსანი გახდა, ხოლო გ. ვაზაგაშვილმა უკვე 73კგ. წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა.

ბირმინჰემის მსოფლიო ჩემპიონატზე ნ. ხერგიანმა განამტკიცა თავისი პრეტენზია სიდნეის ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი გახდა, ასევე გ. რევაზიშვილმაც III ადგილი 73კგ.

ძიუდოს განვითარების ისტორია

წონით კატეგორიაში მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიადის წელს გ. რევაზიშვილმა და ნ. ხერგიანმა წინა წლის შედეგები გაიმეორეს.

სიდნეის ოლიმპიადაზე, ისევე როგორც ატლანტაში, ჩვენს ძიუდოსტებს მხოლოდ ერთი ბრინჯაო ერგოთ, რომლის მფლობელი გ. ვაზაგაშვილი გახდა.

საკმაოდ იმედიაანად დაიწვეს ჩვენმა ფალაენებმა ათენის ოლიმპიური ციკლი. პარიზის 2001 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული იქნა 5 მედალი! (პირად ჩემპიონატებში ეს ჩვენთვის რეკორდი იყო). დავით მარგოშვილმა ვერცხლის მედალი აიღო, ნ. ხერგიანმა, ი. ჯიქურაულმა, ა. დავითაშვილმა და რ. ჩოჩიშვილმა ბრინჯაო მოიპოვეს.

სამწუხაროდ, ევროპის 5 მედალი მსოფლიო ჩემპიონატზე მიუნხენში ერთ ვერცხლად გადაიქცა. ოქროს ადების დიდი შანსი ზ. ზვიადაურმა დაკარგა.

2002-2003 წ.წ. მნიშვნელოვანი იყო ქართული ძიუდოსათვის. 2002წ. მარიბოროში (სლოვენია) გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი სახელი დავით ქვეხიშვილი, რომელმაც ევროპის ვერცხლის მედალი მოიპოვა. ნ. ხერგიანმა და ზ. ზვიადაურმა III ადგილები დაიკავეს. ამავე წელს ჩვენი ძიუდოსტები მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის გათამაშებაში ჩაერთნენ.

შვეიცარიაში, ქ. ბაზელში, საქართველოს ნაკრები ფინალში იაპონელებთან დამარცხდა და ვერცხლის მედლით

დაჯილდოვდნენ: ნ. ხერგიანი, დ. მარგოშვილი, დ. ქევხიშვილი, გ. მამრიკიშვილი, ზ. ზვიადაური, ი. ჯიქურაული, ა. დავითაშვილი. III ადგილები დაიკავეს საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებებმა.

ამავე წელს საქართველოს ნაკრები პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრში. შეუპოვარ ბრძოლაში ჩვენმა ძიუდოისტებმა ბელორუსის გუნდს მოუგეს. წინა შეხვედრაში გერმანელ მიულერთან ა. დავითაშვილს მოტყდა თითი და ფინალურ ორთაბრძოლაზე, რომელიც იყო გადამწყვეტი, გავიდა სახასიათით დამაგრებული თითებით, ასეთ მდგომარეობაში მან შეძლო იპონით დაემარცხებინა რ. შარაპოვი და მოეტანა გამარჯვება ჩვენი გუნდისათვის. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: ნ. ხერგიანი, დ. ქევხიშვილი, მ. თადუმაძე, ზ. ზვიადაური, ი. ჯიქურაული და ა. დავითაშვილი.

2003 წელს დიუსელდორფში ჩვენმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს მედლების კომპლექტი: ნ. ხერგიანმა მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება, დ. მარგოშვილი მეორედ გახდა ევროპის ვიცე ჩემპიონი, ხოლო რ. ჩოჩიშვილმა მესამედ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ოსაკაში ზ. ზვიადაური მეორედ გახდა ევროპის პრიზიორი. ფინალში შეხვდა კორეის წამომადგენელს, იგებდა აშკარა უპირატესობით და ბოლოს შებოჭვით წააგო შეხვედრა.

ისე როგორც წინა წელს აშკამად ლონდონში ა. დავითაშვილს მოიწია თავისი მოგებით გადაეწყვიტა ფი-

ძიულოს განვითარების ისტორია

ნალური შეხვედრის ბედი. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ ნ.ხერგიანი, დ.მარგოშვილი, დ.ნადარაია, ზ.ზვიადური, ი.ჯიქურაული, ა.დავითაშვილმა.

ათენის ოლიმპიადის წელს, ბუქარესტის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს გუნდს ბრინჯაოს მედალი დ. ქევხიშვილმა მოუტანა, ხოლო ჩვენგან საბურძნეთში გადასულმა ჯ. ზვიადურმა და რ. გედენიძემ მოიპოვეს I და II ადგილები.

ათენის ოლიმპიადაზე პირველი ოქროს მედალი (დამოუკიდებლობის პერიოდში) მოუტანა საქართველოს ზ. ზვიადურმა, ხოლო ნ. ხერგიანი ვერცხლის მედალს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ ძიუდოისტების ტურნირზე ზურაბ ზვიადური ყველაზე ტექნიკურ ძიუდოისტად აღიარეს.

მან ხუთი ორთაბრძოლა სხვადასხვა ილეთებით მოიგო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ხერგიანმა ბოლო ორ ოლიმპიურ ციკლში (1997-2000 და 2001-2004წწ.) ექვსი ევროპის მედალი (ორი – ჩემპიონის), ერთი მსოფლიო ჩემპიონატის (ბრინჯაო), ერთი ოლიმპიადის (ვერცხლი) და ორი გუნდური ოქროს მედალი, სულ 10 მედალი მოიპოვა.

ახალ ოლიმპიურ ციკლში როტერდამის ევროპის ჩემპიონატზე (2005წ.), ჩვენი გუნდი გადახალისებული შემადგენლობით წარსდგა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.(დ. ქევხიშვილი).

2005წ. კაიროს მსოფლიო ჩემპიონატზეც მხოლოდ ლ. გუჯეჯიანმა მოიპოვა ბრინჯაო, მან მოუგო ისეთ ცნობილ ძიუდოისტებს, როგორცაა ვან დერ გესტი (ნიდერლანდები), რ. ბიანჩესი (იტალია), მ. პადარი (ესტონეთი) და ა. ტანგრიევი (უზბეკეთი). ჩატარებულ გუნდურ შეჯიბრზე ჩვენმა გუნდმა აიღო III ადგილი.

ტამპერეს ევროპის ჩემპიონატზე (2006წ.) ორი ახალი მედალოსანი შეგვემატა: ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ზაზა კედელაშვილმა, ხოლო ბრინჯაოს მედალს შეუპოვარ ბრძოლაში დასჯერდა ზვიად ხანჯალიაშვილი.

ამავე წელს გაიმართა მე-4 მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი საფრანგეთში. პარიზში შეგროვდა მსფლიოს 16 უძლიერესი გუნდი. პირველ-მეორე წრეში ჩვენმა ნაკრებმა დაამარცხა ეგვიპტის და უკრაინის გუნდები. ეგვიპტელ მეტოქესთან ბრძოლისას ზ. კედელაშვილმა მიიღო თავის ტრავმა, მაგრამ შეხვედრა მაინც მიიყვანა გამარჯვებამდე, დარჩენილი სამი შეხვედრაც მოიგო და გუნდს მაქსიმალური ქულების რაოდენობა ფინალამდე მოუტანა. ნახევარფინალში, ჩვენმა გუნდმა მძიმე ბრძოლა კორეის ნაკრებთან ჩაატარა. გამარჯვებას მიაღწიეს ნ.ხერგიანმა, ზ.კედელაშვილმა, ი.ცირეკიძემ. მე-7 შეხვედრის წინ ანგარიში 3:3 იყო. ზ.ხანჯალიაშვილმა სუფთა გდებით მოუგო მეტოქეს და გაიყვანა ნაკრები ფინალში. ჩვენმა გუნდმა ბრწყინვლედ ჩაატარა ფინალური შეხვედრა რუსეთის ნაკრებთან და პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ ნ.ხერგიანი, ვ.ხოსიტაშვილი, ზ.კედელაშვილი,

ძიუდოს განვითარების ისტორია

დ. ქევხიშივილი, გ. მამრიკიშვილი, გ. ბაინდურაშვილი, ი. ცირეკიძე, გ. ყიზილაშვილი, ზ. ხანჯალიაშვილი და ლ. გუჯეჯიანი. III ადგილები დაიკავეს საფრანგეთის და კორეის ნაკრებებმა.

გუნდურ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი გაემგზავრა მეორე შემადგენლობით. ნ. ხერგიანმა იასპარეზა 73 კგ. წონით კატეგორიაში. ორი მოგებით და ერთი წაგებით ჩვენებმა III ადგილი დაიკავეს.

ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ: ვ. ხოსიტაშვილი, მ. ხომიზური, ნ. ხერგიანი, გ. ბაინდურაშვილი, ზ. ზვიადაური, ლ. ჟორჟ ოლიანი და ა. ოქრუაშვილი.

2007 წლის ბელგრადის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა ფალანგებმა, ისევე როგორც 2001 წელს, მოიპოვეს ხუთი მედალი, მხოლოდ, ხარისხი იყო ბევრად მაღალი: ზ. კედელაშვილმა მოიპოვა ოქროს მედალი, დ. ქევხიშილმა, ი. ცირეკიძემ და ლ. გუჯეჯიანმა – ვერცხლის მედლები, ნ. ხერგიანმა, ბრინჯაოსი.

მაგრამ, ამ წლის წარმატებები კიდევ წინ იყო. ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატზე ირაკლი ცირეკიძემ კარგად ჩაატარა მთელი ტურნირი და 18 წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მას ცოტათი ნ. ხერგიანი ჩამორჩა და ვერცხლის მედალოსანი გახდა. კარგად ჩაატარა ჩემპიონატი ლ. გუჯეჯიანმა და მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

მინსკში ჩატარებულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ჩვენმა გუნდმა მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ოქროს მედლებით ნ. ხერგიანი, ბ. შუკვანი, ზ.

კედელაშვილი, მ.ხომიზური, გ.შინჯიკაშვილი, გ. ბაინდურაშვილი, ი.ცირეკიძე, ლ.ჟორჟოლიანი, ლ.რაზმაძე, ლ. გუჯაგუიანი დაჯილდოვდნენ.

პეკინის ოლიმპიადის წელი, როგორც ყოველთვის, დაიწყო ევროპის ჩემპიონატით. ზ. კედელაშვილი პირველად – ქართული ძიუდოს ისტორიაში ზედიზედ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი, ფინალში მან სუფთა გდებით უნგრელი ძიუდოსტი მ. უნგვარი დაამარცხა, რომელმაც გზა მსოფლიო ჩემპიონატზე გადაუღობა. ნ. ხერგიანი, დ. ქევხიშვილი და ი. ცირეკიძე გახდნენ ბრინჯაოს მედალოსნები.

2008 წლის 13 აგვისტოს პეკინის ტატამზე ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლა 90კგ. წონითი კატეგორიის ძიუდოსტებმა დაიწყეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ირაკლი ცირეკიძე მეორეა, ვინც ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. მან ბრწყინვალედ ჩაატარა თავისი შეხვედრები, განსაკუთრებით კი რუსეთის წამომადგენელთან ი.პერშინთან.

სამწუხაროდ, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოსტების ასპარეზობა რუსულ-ქართულ სამხედრო კონფლიქტს დაემთხვა და, რომ არა ეს მიზეზი გუნდის მომზადების დონიდან გამომდინარე შედეგები ბევრად მაღალი იქნებოდა.

ეს დაადასტურა თვენახევრის შემდეგ ტოკიოში ჩატარებულმა რიგგარეშე მსოფლიო გუნდურმა ჩემპიონატმა, სადაც შეიკრიბა ყველა კონტინენტის ორ-ორი უძლიერესი გუნდი. ამ შემადგენლობაში, ძიუდოს დამ-

ძიულოს განვითარების ისტორია

ფუძნებულ ქვეყანაში ჩვენმა ფალაენებმა მეორედ მოიპოვეს პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტული. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ ნ. ხერგიანი, მ. ხომიზური, ზ. კედელაშვილი, დ. ქვეხიშვილი, ვ. ლიპარტელიანი, ი. ცირეკიძე, ლ. გუჯეჯიანი, ლ. უორუოლიანი და ნ. მეტრეველი.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრი განსხვავდებოდა სხვა ტურნირებისაგან იმით, რომ ყოველი შეხვედრის წინ კენტისურის შემდეგ ირკეოდა წონითი კატეგორიების თანმიმდევრობა, ან და რა წონით კატეგორიის ძიუდოისტები იწყებენ შეჯიბრს. ფინალში შეჯიბრის გახსნის პატივი ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონს ვალერი ლიპარტელიანს ერგო, რომელმაც ანგარიში გახსნა. მის შემდეგ იჭიდავეს 100, + 100, 60, 73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიის ძიუდოისტებმა. გადამწყვეტი შეხვედრა 81კგ. წონით კატეგორიაში დავით ქვეხიშვილმა მოიგო აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ნესტორ ხერგიანმა პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანს რ. საბიროვს სძლია. ბრინჯაოს მედლებით ბრაზილიის და რუსეთის ნაკრებების ძიუდოისტები დაჯილდოვდნენ.

ოლიმპიური 2008 წელი ჩვენმა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატში თურქეთის კლუბ „საკურის“ სახელით მიღწეული წარმატებით დააგვირგვინეს. მათ გაიმარჯვეს ისეთ ცნობილ ძლიერ კლუბებს შორის, როგორც არიან გერმანიის „აბენსბერგი“, რუსეთის კლუბები „იავარა-ნევა“, „გლადიატორი“ და „სამბო-70“. ჩემპიონის მედლებით დაჯილდოვდნენ: ნ. ხერგიანი, ვ. ხოსიტაშვილი, ზ. კედელაშვილი, გ. ბაინდურაშვილი, დ. ქვეხიშ-

ვილი, გ. შინჯიკაშვილი, გ. გუგაეა და ლ. გუჯეჯიანი.

1962 წლიდან ქართველმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს საკავშირო და საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში.

პირველ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ძიუდოისტების მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობა სხვადასხვა რანგის ოფიციალურ შეჯიბრებებში.

ცხრილი 1

ქართველი ძიუდოისტების მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში

№	შეჯიბრის დასახელება	ოქროს მედალი	ვერცხლის მედალი	ბრინჯაოს მედალი
1	სსრკ ჩემპიონატი	40	34	49
2	სსრკ ხალხთა სპარტაკიადა	14	7	7
3	ევროპის ჩემპიონატი	33	35	40
4	ევროპის გუნდური ჩემპიონატი*	3	-	2
5	მსოფლიო ჩემპიონატი	5	10	19
6	მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი	2	1	1
7	ოლიმპიური თამაშები	5	3	8

* აქ მოცემულია შედეგები 1991 წლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში ჩვენი ძიუდოისტები 14-ჯერ იყვნენ ევროპის ჩემპიონები, 6-ჯერ მსოფლიო და 4-ჯერ მსაშობები.

ძიუდოს განვითარების ისტორია

ბოლო წლებში ჩვენი ძიუდოისტების წარმატებულმა გამოსვლამ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოხმაურება მოიპოვა. ძიუდოს ევროპის კავშირის გადაწყვეტილებით, ნაკრების მთავარი მწვრთნელი შ. ხაბარელი ოთხჯერ 2002, 2003, 2006 და 2008 წლებში ევროპის საუკეთესო მწვრთნელად, ხოლო ჩვენი ნაკრები 2008 წლის ევროპის საუკეთესო გუნდად აღიარეს.

საინტერესოა საქართველოს ძიუდოისტების ნაკრები გუნდის მიღწევათა დინამიკა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე ნახ. 1.

ნახაზზე წარმოდგენილია 1962 წლიდან მოყოლებული ქართველ ძიუდოისტთა მიღწევების შეჯამებული შედეგები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებზე. გამოთვლა წარმოებდა შემდეგი შკალის მიხედვით. ეს შკალა ჩვენს მიერ იყო შედგენილი 1990 წელს (ცხრილი 2).

ქულების დარიცხვის შკალა



№	შეჯიბრების დასახელება	ქულები დაკავებული ადგილისათვის		
		I	II	III
1	ოლიმპიური თამაშები	7	5	3.5
2	მსოფლიო ჩემპიონატი	5	4	3
3	მსოფლიო თასი	4.5	3.5	2.5
4	ევროპის ჩემპიონატი	4	3	2
5	ევროპის გუნდური ჩემპიონატი	3.5	2.5	1.5
6	სსრკ ჩემპიონატი	3	2	1

ქართველ ძიუდოისტთა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის 47-წლიანი ისტორია ანალიზისათვის შეიძლება ხუთ ნაწილად დაიყოს: 1. ძიუდოისტთა პირველი თაობის შედეგები; 2. მეორე თაობის შედეგები; 3. მესამე თაობის შედეგები; 4. მეოთხე თაობის შედეგები; 5. მეხუთე თაობის შედეგები.*

* ნაშრომის ამ ნაწილის შესრულებაში დახმარება გამიწია ჩემმა მაგისტრანტმა გ. ზუბიტაშვილმა

ქიულოს განვითარების ისტორია

ქართველი ქიულოსტების შედეგების დინამიკა
საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზზე
(ოლიმპიური ციკლების მიხედვით)



როგორც ცნობილია, პირველი თაობის წარმატებითი დებიუტი შედგა 1962 წელს ევროპის ჩემპიონატზე. წარმატება შემდგომშიც 1968 წლამდე მტკიცდებოდა. ამ პერიოდში სამბისტები მონაწილეობდნენ ძიუდოისტთა შეჯიბრებებში და დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ღირსეული კონკურენცია გაუწიონ ძიუდოისტებს, რაც მოწმობდა სამბოს განვითარების მაღალ დონეს ჩვენს რესპუბლიკაში და ყოფილ საბჭოთა კავშირში.

პირველი თაობის ძიუდოისტებმა ღამაზი კვალი დაუტოვეს მომავალ თაობას. აქტიურ სპორტში მოღვაწეობის შემდეგ არ გადაწყვიტეს კავშირი მომდევნო თაობებთან, ყოველთვის გვერდში ედგნენ ყველა რანგის შეჯიბრებებში, როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე და სპარტაკიადებზე, ასევე ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიურ თამაშებზე. მათ მოღვაწეობაში იბადებოდა ქართული სპორტის მეცენატობის სათავეები. მათი ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, რომ მაგალითად მეორე თაობის ძიუდოისტი ამირან მუზაევი, ანზორ კიკნაძეს „ძია ანზორით“ მიმართავდა.

შემდგომ, საბჭოთა კავშირის ნაკრებში დაიწყო მთავარი მწვრთნელების ცვლა, რაც უარყოფითად მოქმედებდა გუნდის შედეგებზე. ეს ქართველ ძიუდოისტებზეც აისახა, ამასთან, ტატამს უკვე ტოვებდნენ პირველი თაობის ვეტერანები და სანაცვლოდ თაობათა ცვლა იწყებოდა.

1971 წლის ბოლოდან, როდესაც სსრკ ნაკრები გუნდის მწვრთნელად კვლავ ე. ანდრეევი დაინიშნა და ორ-

ძიუდოს განვითარების ისტორია

განიზაციული ღონისძიებები გატარდა, ქართველი ძიუდოისტების შედეგებმა კვლავ იმატა და 1972-1977 წლებში 47-წლიან ქართული ძიუდოს ისტორიაში ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია.

ამ პერიოდში ტატამზე მეორე თაობის წარმომადგენლები გამოდიან: საბჭოთა ძიუდოისტთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონია გორელი შოთა ჩოჩიშვილი, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი რამაზ ხრშილაძე, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი ჯ. ნიჟარაძე, ევროპის ჩემპიონები შ. ფიცხელაური, გ. გოგოლაური, გ. ონაშვილი, ჯ. ნიჟარაძე, თ. ხუბულური, ა. მუზაევი და სხვები.

შემდგომ, ქართველი ძიუდოისტების საერთო შედეგები ერთობ კლებულობს, თუმცა 1978-1982 წლამდე თუმურ ხუბულური, პირველი ქართველი ძიუდოისტებიდან, ხდება მსოფლიო ჩემპიონი 1979 და 1981 წლებში, შოთა ხაბარელი იმარჯვებს მოსკოვის ოლიმპიადაზე, დ. ბოდაველი ევროპის ჩემპიონატზე 1981 წ. და ხდება მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი. ამ პერიოდში იწყება ქართველ ძიუდოისტთა მეორე თაობის ცვლა.

1983 წლიდან ასპარეზზე მესამე თაობა გამოდის. ეს პერიოდი დამახასიათებელია ქართველი ფალანგების მაღალი შედეგებით საკავშირო შეჯიბრებებში ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, მხოლოდ 1987-1988 წლებში გამოჩნდნენ გუნდის ლიდერები კ. კურტანიძე, ა. კიბორძაძე, ა. ტოტიკაშვილი, გ. თენაძე, რომლებიც ღირსეუ-

ლად იბრძვიან საერთაშორისო ტურნირებში. ამ დროის მონაკვეთში ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებულია ჩემპიონის ოთხი ტიტული კ. კურტანიძე – 1987,1989წწ.; ა. ტოტიკაშვილი – 1988,1989წწ.; ერთი მეორე ადგილი – ა. კიბორძალიძე – 1988წ და ორი მესამე ადგილი – ა. კიბორძალიძე – 1987წ. და გ. თენაძე – 1989წ.. გარდა ამისა, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ა. ტოტიკაშვილი და გ. თენაძე. კ. კურტანიძემ მძიმე ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა ამ ოლიმპიადაში.

1989 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ქართველი ძიუდოისტებისათვის. ბელგრადში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების რვა მონაწილედან ოთხი ქართველი ფალავანი იყო და ოთხივე შინ მედლებით დაბრუნდა: ა. ტოტიკაშვილი და კ. კურტანიძე გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები (დღემდე ეს შედეგი რჩება განუმეორებელი), ა. კიბორძალიძემ მეორე ადგილი დაიკავა, გ. თენაძემ კი ბრინჯაო მოიპოვა (ეს შედეგიც აღარ განმეორებულა). ქართველ ძიუდოისტთა მოპოვებულმა ქულებმა განაპირობა საბჭოთა კავშირის ნაკრების გამარჯვება გუნდურ ჩათვლაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1991 წელს ჩვენმა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა X ხალხთა სპარტაკიადაში და 1992 წელს რიაზანში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩემპიონატში. ამით საკავშირო შეჯიბრებებში ქართველი ძიუდოისტების მონაწილეობის ისტორია დასრულდა. ეს პერიოდი ხასიათდება

ძიუდოს განვითარების ისტორია

ჩვენი ფალანგების უმაღლესი შედეგებით საკავშირო ასპარეზზე. პარალელურად დაიწყო ჩვენი ძიუდოისტების მიღწევების ზრდა საერთაშორისო არენაზე. აქ თავისი წვლილი ჩვენი რესპუბლიკის წარმატებაში შეიტანეს ა. ტოტიკაშვილმა, კ. კურტანიძემ, ა. კობორძალიძემ, გ. თენაძემ, დ. ხახალეიშვილმა, ა. გუბელაძემ, ვ. დგებუაძემ, გ. მოდებაძემ, კ. ქურასბედიანმა, ზ. გაჩეჩილაძემ და სხვებმა.

თუ საკავშირო ასპარეზზე ჩვენმა ძიუდოისტებმა მიადწიეს მაქსიმალურ შედეგს, რომელიც განუმეორებელი დარჩა ქართული ძიუდოს ისტორიაში, საერთაშორისო ასპარეზზე 1988 წლიდან დაიწყო ჩვენი ფალანგების შედეგების აღმავლობა.

ამ პერიოდში გამოდიან მეოთხე თაობის ძიუდოისტები, რომლებმაც განვლილ პერიოდში 1993-1996 წლებში აჩვენეს მეორე შედეგი 1973-1976 წწ. შემდეგ. ეს დინამიკა წავიდა კლებაში 1997-2000წწ. ოლიმპიურ ციკლში. წარმატებით ასპარეზობენ დ. ხახალეიშვილი, ვ. დგებუაძე, გ. ეაზაგაშვილი, გ. რევაზიშვილი, ი. ჯიქურაული, ნ. ხერგიანი.

2001-2004 წლებში საერთაშორისო ტატამზე ნ. ხერგიანთან და ი. ჯიქურაულთან ერთად წარმატებით ასპარეზობენ ზ. ზვიადაური, დ. მარგოშვილი, დ. ქეხიშვილი, ა. დავითაშვილი, რ. ჩოჩიშვილი. ამ პერიოდში ზ. ზვიადაური ორჯერ ხდება მსოფლიო ჩემპიონატების (2001წ. და 2003წ.) ვერცხლის პრიზიორი და 2004 წლის

ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური ღირსეულად ამთავრებს 2001-2004 ოლიმპიური ციკლის წელს.

მეხუთე თაობის ძიუდოსტებმა თავიანთი შედეგებით პრაქტიკულად გაიმეორეს ქართული ძიუდოს 47-წლიან ისტორიაში საუკეთესო შედეგები (1973-1976წწ.)

ამ თაობის წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გუნდის დაუბერებელმა ვეტერანმა ნესტორ ხერგიანმა, ირაკლი ცირეკიძემ, ზაზა კედელაშვილმა, ლაშა გუჯეჯიანმა, დავით ქეხიშვილმა, ივერი ჯიქურაულმა, ზვიად ხანჯალიაშვილმა და დავით მარგოშვილმა. მათ სახელებთან დაკავშირებულია ბრწყინვალე გამარჯვებები ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო ჩემპიონატზე და მსოფლიოს ორ გუნდურ ჩემპიონატში.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ძიუდოსტების მომზადებაში ინერგებოდა ჭიდაობის სახეებში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების გამოცდილება სამეცნიერო-მეთოდურ უზრუნველყოფაში: სასწავლო-საწვრთნო პროცესის დაგეგმვა, საწვრთნო დატვირთვების დაგეგმვა და აღრიცხვა, ნაკრები გუნდის კანდიდატების ტესტირება საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში, შეჯიბრების ვიდეოჩანაწერები და ძიუდოსტების საშეჯიბრო მოღვაწეობის ანალიზი, მოჭიდავეების ეტაპობრივი გამოკვლევები (ჭიდაობის, ძალოსნობის და აღმოსავლური ორთაბრძოლების კათედრის გამგე, პროფესორი გ. რატიშვილი კათედრის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ერთად), ფეხზე დგებოდა სამედიცინო სამსახური (ი.

ძიუდოს განვითარების ისტორია

ფელდმანი, ლ. შენგელია, ფ. აშკალოვი).

